დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 122 პარასკევი, 5 ივნისი 1909 წ. № 122

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

პოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦

✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

მუშტაიდში

◀ კვირას, 7 ივნისს ▶

ტფ. სახალხო უნივერსიტეტის

სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა:

◀ დილით ▶ ◀ საღამოთი ▶

ბავშვებისთვის ●●●●● დიდებისთვის

პროგრამმა:

საქანელა—ოპერეტტა „მხიარული ქვრივი"-დან.

სეირნობა—მატორიან „კალიასკებით".

ორკესტრები—მანდოლინისტებისა, ბალალაიკის დამკვრელთა, სამხედრო მუსიკა. საღამოს 8 საათიდან—სიმებიანი ორკესტრი რუმინელებისა, გრამოფონი.

● **ბავშვების პროცესია** დროშებით. ●

ტომრებში სირბილი—საჩუქრათ დაურიგდებათ ცოცხალი ფრინველები. ბავშვების ცეკვა. ✦ მიზანში სროლა. რგოლების სროლა. ცხენით შექცევა ასპარეზზედ. ციგნის დედაკაცი—მკითხავი.

შუშხუნები. ✦ ჩარხი. სინემატოგრაფი არჩეულს სურათებით ბავშვებისთვის და დიდებისთვის ცალ-ცალკე. **ყვავილების ურმები. ღია ბარათები ლექსებით. კონფეტტი. ✦ მფრინავი ბურთები**

ფთიაქი—კიოსკი 20 საუკუნისა. ბედნიერების ქვევრი. პტიშვო. ბუფეტი.

დასაწყისი დილით 10 საათზე, საღამოთი 4 საათზე.

შესასვლელი ფასი: დიდებისთვის—20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ.

იბეჭდება და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს

დუტუ მეგრელის ნაწერების
პირველი წიგნი—ლექსები,

რომელშიაც მოთავსებული იქნება 200-ზე მეტი ლექსი და სამი პოემა.

ხელის მოწერა, როგორც ამ წიგნზე, ისე დუტუ მეგრელის მოთხრობებზე კვლავ მიიღება ამ ივნისის 25-მდის; შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. ხელის მოწერით ორივე წიგნი ეღირება ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი შესამჩნევად იქნება გადიდებული.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიაში, მაღაზია „ახალ სიტყვაში" („Новая рѣчь"), „დროების" რედაქციაში და ქუთაისში ბ-ნთ თომა მთავრიშვილის და ის. კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში. პროვინციიდან ხელის მომწერთა სია და ფული უნდა გამოეგზავნოს „დროების" რედაქციაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ აგრეთვე ხელმოსაწერი საკვიტანციო წიგნაკები. (6—5)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 10½—11½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ჩერნიავსკაია—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—44)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფელდთროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—76)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირჩისი, N 9. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. 6. 79)

ექიმი ა. ნ. რიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მელიქოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ქირავდება

✦ ბუფეტი ✦ ბაღში

მიხეილის პროსპექტზე, № 163.

Михаиловскій Проспектъ. (1—283—1)

ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—10)

ბაღი-რესტორანი
ამხ—ბის „იუქანე"-ში

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დილით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელსასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. (10—გაგ.—9)

7 ივნისს, საღამოს 7 საათზე,

◀ დაიხურება ▶

მოსკოველ მხატვართა
სურათების გამოფენა

(გოლოვინის პროს. და მამა დავითის ქუჩების კუთხე).

გამოფენის დათვალიერება ღირს დიდებისთვის 25 კაპ., ბავშვებისთვის, მოწაფეებისთვის და სალდათებისთვის—10 კაპ. (3—2)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

აქიმობს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესასხამ წამლით **ტუბერკულინით.**

ტფილისის ქუჩა. სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—6.—12)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—94)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. [illegible] ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—161)

გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი

ს მეურნეო ჟურნალის

„მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს 3 მ, მდგომარე წლის პირველ იანვრამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5. (3—1)

შემთხვევით
იყიდება

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გროზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა „სინათლე"-ში. (4—213—4)

ტფილისი, 5 ივნისი

კიდევ ერთი საპარლამენტო სესსია მიებარა ისტორიას,—სესსია უნაყოფო და უფერული, როგორც წინანდელები; კიდევ ერთხელ მთელი მოწინავე რუსეთი სასოწარკვეთილებით აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო წელიწადმა კვლავ არაფერი არ შესძინა ქვეყანას... მართალია, დიდი იმედები არავის არ ჰქონია, პირიქით, მესამე ივნისის სათათბიროს უძლურებას ყველა წინასწარმეტყველობდა, მაგრამ თუ ამდენად უნაყოფო და უბადრუკი გამოდგებოდა, არც ეს ეგონა ვისმეს. ორი საპარლამენტო წელიწადი, ოთხი სრული სესსია დასრულდა და რუსეთი ისევ იქ არის, სადაც მარად სახსენებელ ოქტომბრის დღეებში იყო: დაპირებული განახლება არ დაწყებულა და პოლიტიკური წესწყობილება არ უმჯობესდება. ქვეყანა ისევ სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, სადაც ომის დროის კანონები მოქმედობენ; მოქალაქობრივი ცხოვრება ისევ შეწყვეტილია და განსაკუთრებული რეჟიმი ისევ განაგრძობს თავის გამანადგურებელ მუშაობას...

ახლად დასრულებული სესსია იმით განსხვავდება წინანდელისაგან, რომ წვრილ კანონ-პროექტთა ხროვა არ დასტოვა; განიხილა და დაამტკიცა 500-ზე მეტი და ამ მხრით დიდი ნაყოფიერება, დიდი უნარი გამოიჩინა; ხოლო თვალსაჩინო პროექტები ისევ განუხილველი დარჩა, როგორც წინა სესსიებს. ერთად ერთი ღირსშესანიშნავი საქმე, რომელიც მან დაამთავრა, არის სულ უკანასკნელ დღეებში მიღებული კანონები სტაროობრიადცებისა და სინიდისის თავისუფლების შესახებ; დაბოლოვა კიდევ ერთი დიდი კანონ-პროექტი—9 ნოემბრის აგრარული პროექტი,—მაგრამ იგი წინა სესსიაში იყო დაწყებული და, გარდა ამისა, კარგა ხანია განხორციელებული იყო მთავრობის მიერ ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით. ერთად ერთი პლიუსი, მაშასადამე, უკანასკნელ დღეებში მიღებული კანონებია სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ. ცხადია, სათათბიროს უმრავლესობას შერცხვა, რომ კიდევ ხელცარიელი მიდიოდა ამომრჩევლებთან და როგორც იქმნა გაბედა 17 ოქტომბრის მანიფესტის ერთ-ერთ დაპირების წინ წამოყენება, დანარჩენები კი ისევ დარჩნენ უძრევლად მის კომისიებში. უკანასკნელთაგან ყველაზე უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ბედი ეწვია პიროვნების ხელშეუხებლობის და განსაკუთრებულ წესების კანონ-პროექტებს. ეს ორი საქმე, ესე იგი, პიროვნების ხელ-უხლებლობის გარანტია და განსაკუთრებულ წესების გარკვეულს კალაპოტში ჩაყენება, იქნებოდა იმის მაჩვენებელი, რომ რუსეთში საკონსტიტუციო რეჟიმი მყარდება, რომ სამხედრო რეჟიმი თავდება და იწყება ხანა მოქალაქობრივ ცხოვრებისა. ამის ასრულებას ჰპირდებოდა რუსეთს ახლანდელი მთავრობა, როცა სტოლიპინის პირით ამბობდა ამ ორი წლის წინად—ჯერ რევოლიუციას შევბორკავთ და მერე რეფორმებს შევუდგებითო; ამასვე დაჰპირდა ქვეყანას მესამე სათათბიროს ხელმძღვანელი პარტია, როცა სამ ივნისის კანონის შედეგი გამოირკვა. მაგრამ არც ერთმა, არც მეორემ დაპირება არ აასრულა; პირიქით, ორივემ, ურთი-ერთის თანხმობით, მაუდ ქვეშ დამალეს ის კანონ-პროექტები, რომელთა განხორციელებით უნდა დაწყებულიყო მათი დაპირების ასრულება. ამ შემთხვევაში ორივე მხარე რომ თანხმობით მოქმედებს, ამას ფაქტები ამტკიცებენ. მართლაც, ორივე კანონ-პროექტი—პიროვნების ხელშეუხებლობის და განსაკუთრებულ წესებისა—კარგა ხანია მზადა აქვთ ოქტომბრისტებს და ადვილად შეეძლოთ მათი წარდგენა სათათბიროსათვის სესსიის დასაწყისშივე; მაგრამ, ცხადია, ჯერ სტოლიპინისაგან ამის ნება-რთვა არ მიუღიათ. კანონ-პროექტების შინაგანი ღირსება ერთობ მცირეა, მათ მიერ მოქალაქობრივი ცხოვრება სავსებით უზრუნველ-ყოფილი არ იქნება; მიუხედავად ამისა, არც მთავრობამ, არც პარლამენტის ხელმძღვანელმა უმრავლესობამ არა სცნეს, რომ დროა მათი დაკანონება და ცხოვრებაში გატარება. ეს გარემოება ფრიად დამახასიათებელია და უტყუარად მოწმობს მესამე სათათბიროს სრულს უძლურებას. ორ ამ კანონპროექტს პიუმატეთ საკითხები ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ, ადგილობრივ სასამართლოებისა და ადმინისტრატიულ წეს-წყობილების შესახებ, ბიუჯეტის განკურნების შესახებ და სხვა, რომელნიც დაპირებული იყვნენ და რომელთა დაყოვნება თვით ძველ რეჟიმის მთავრობას არ მიაჩნდა შესაძლებლად, და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ მესამე სათათბირო ფეხს ოდნავადაც ვერ მოაცვლევინებს რუსეთს იმ წერტილიდან, რომელზედაც ეს უბედური ქვეყანა კარგა ხანია შეჩერებულია...

რას ამბობს, რით იმართლებს თავს პარლამენტის უმრავლესობა? ცხადია, რომ ისიც ხედავს ამ თავის უძლურებას, ისიც გრძნობს, რომ წინ წასვლა საჭიროა და აწმყოთი არც თვითონაა კმაყოფილი. მაშასადამე, რაიმე გასამართლებელი საბუთი უნდა ჰქონდეს, რომლითაც იმედით უნდა იკვებავდეს თავის თავსაც და სხვებსაც უნდა ატყუებდეს. და ასეთი საბუთ-იმედი მართლაც აქვს. წინად თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ლოზუნგი იყო და ეს ლოზუნგი რევოლიუციის დროის მთავრობასაც უანდერძა—ჯერ კრამოლა უნდა მოვსპოთ და მერე რეფორმებს შევუდგებითო; ისე ეხლაც საპარლამენტო უმრაალესობამაც შექმნა ლოზუნგი, რომლითაც მთელ ქვეყნის მოტყუებას და თვით თავის თავის მოტყუებასაც ჰფიქრობს: ჯერ შავრაზმული რეაქცია უნდა დავსცეთ, მავრი გავაძევოთ საისტორიო ასპარეზიდან და მერე დავიწყებთ რუსეთის განახლების საქმესაო. როგორც ჰხედავთ, ესეც ის მოჯადოვებული წრეა, რომელიც თვითმპყრობელ ბიუროკრატიამ შექმნა. მართლაც, როგორც კრამოლას აღმოფხვრა არ შეიძლებოდა, სანამ რუსეთის წესწყობილების განახლება არ მოხდებოდა, ისე შავრაზმელ რეაქციის დამხობა არ მოხერხდება, სანამ 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებას არ შეუდგებიან. კრამოლა უძლეველია და მავრიც საისტორიო ასპარეზიდან არ წავა, სანამ ძველი რეჟიმი იარსებებს,—ეს ცხადია და ვერც მთავრობა, ვერც ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტია ვერავის ვერ მოატყუებენ თავიანთ ლოზუნგებით. თუ მოატყუებენ, ისევ თავის თავს: ძველმა თვითმპყრობელობამ ფეხი წაიტეხა მუკდენსა და ცუსიმას, ახალი თვითმპყრობელობაც და მესამე სათათბიროც იმ დრომდე იტყუებენ თავიანთ თავს, სანამ თავის მუკდენსა და ცუსიმას არ გამოსჩხრეკენ...

ამ საზოგადო უნუგეშო მოსაზრებებით მივეგებოთ სათათბიროს დახურვას და ეხლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დასრულებულ სესსიის რეზულტატი.

ნამესტნიკის ცირკულიარი
ერობის შესახებ

გუშინდელ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ნამესტნიკის ცირკულიარი ამიერ-კავკასიის გუბერნატორისა და ოლქის უფროსების მიმართ. ცირკულიარი შეეხება ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების საქმეს.

კავკასიის ნამესტნიკს კვლავ განუზრახავს გუბერნიებში თათბირის გამართვა ერობის საქმის გამოსარკვევად. როგორც ვიცით, ლაპარაკი ერობის შემოღების შესახებ ამ სამი-ოთხი წლის წინად დაიწყეს. ცირკულიარში მოთხრობილია ამ საქმის ისტორია, ხოლო ბოლოში ჩამოთვლილია ის საგნები და საკითხები, რომელიც მომავალმა თათბირმა უნდა განიხილოს.

ცირკულიარში ნამესტნიკი ამბობს: 1905 წელს გუბერნიებსა და მაზრებში მოწვეულ იქმნენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელნი და მოხდა თათბირი საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. მაგრამ იმ დროის განსაკუთრებულ პირობათა გამო ზოგიერთ მაზრაში თათბირი არ მოხდა, ხოლო სადაც მოხდა—საკმაო მასალა ვერ შეიკრიბება საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დასაყენებლად. ამას გარდა მთელი ყურადღება მაშინ ანარქიასთან ბრძოლას და წესიერების ჩამოგდებას მიევაპყარ, ამიტომ შეუძლებელი გახდა განზრახულ რეფორმის განხორციელება. მაგრამ რადგან ერობის შემოღება საჭიროდ მიმაჩნდა, ამიტომ 1907 წელს უქვეშევრდომილესს მოხსენებაში ავღნიშნე ის მთავარი საფუძვლები, რომელიც, ჩემის აზრით, საძირკვლად უნდა დაედოს საერობო რეფორმას ამიერ კავკასიაში.

ამ საფუძვლებით, ერობა ამიერ-კავკასიაში უნდა შესდგეს ოთხ უწოდებრივო თვით-მმართველ ერთეულისაგან. უმცირესი ერთეული იქნება სასოფლო ერობა. ამას მოსდევს ნაწილის ერობა, შემდეგ სამაზრო, რომელშიაც მთელი მაზრა შევა, და ბოლოს საოლქო ერობა, რომელშიაც შევა მთელი ამიერ-კავკასია. პირველი ორი იქნება ის ფორმა ერობისა, რასაც რუსეთში წვრილ საერობო ერთეულს ეძახიან. სამაზრო ერობა დაახლოვებით იმ ფუნქციების აღმასრულებელი იქნება, რასაც რუსეთში ასეთივე ერობა ასრულებს, საოლქო ერობა კი უნდა უდრიდეს რუსეთის საგუბერნიო ერობას, მხოლოდ საოლქო ერობაში ერთი გუბერნიის ნაცვლად შევა ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნია და ოლქი. ამ სისტემით, ყველაზე დაბლა საფეხური საერობო დაწესებულებებისა იქნება ყოველი ადგილი, სადაც-კი მოსახლეობაა. ასეთ ადგილს ექნება მამასახლისი (სტაროსტა). აქ გაირჩევა უბრალო და მარტივი საქმეები. დიდ სოფლებში კი მოეწყობა წარმომადგენელთა კრება და საერობო გამგეობა. ამ კრებაში წარმომადგენელნი ეყოლება სხვა და სხვა მცირედ დასახლებულ ადგილს. სასოფლო საზოგადოებას თავისი სწორედ განსაზღვრული ტერიტორია ექნება და ამ საზღვარში შევა ყველა, ვინც იქა სცხოვრობს წოდების განურჩევლად. საერთო სამეურნეო ნიადაგზე შეიძლება რამდენიმე სოფლის საზოგადოების შეერთება და კავშირის შედგენა. როგორც სოფლის საზოგადოებებს, ისე ამ კავშირებს უფლება ექნებათ დააწესონ ყველასთვის სავალდებულო გადასახადი, რაიცა საჭირო იქნება სხვა და სხვა მოთხოვნილება-საჭიროების დასაკმაყოფილებლად; დააწესონ აგრეთვე ბეგარა, აირჩიონ თანამდებობის კაცნი და სხვა. სასოფლო საერობო გამგეობას ან მისს თანამდებობის კაცებს დაევალებათ აგრეთვე აღსრულება ზოგიერთ საადმინისტრაციო-საერობო საქმეებისა. მათვე უნდა აასრულონ უმაღლესი საერობო ინსტანციის დავალება.

შემდეგ ერთეულად საერობო თვითმმართველობისა შეიძლება იყოს განსაზღვრული ნაწილი მაზრისა. ამასთან მთავრობა საჭიროდ სცნობს მაზრების ეხლანდელ საზღვრების გაფართოვებას. ასეთ ნაწილის რაოდენობა მაზრაში განისაზღვრება მცხოვრებთა რიცხვით და ტერიტორიის სიდიდე-სიპატარავით. განკარგულების მომხდენი ორგანო ამ გვარ ნაწილისა იქნება წარმომადგენელთა კრება. კრებაში შედიან წარმომადგენელნი სასოფლო საზოგადოებათა, კერძო მემამულეთა, რომელთა მამულიც ნაწილის ტერიტორიაზეა და ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებაში არ ირიცხება (გამონაკლისს შეადგენენ უდიდესი მემამულენი). წარმომადგენლები ეყოლებათ აგრეთვე ხაზინას და საუფლისწულო უწყებას, თუ ამ დაწესებულებებს ადგილობრივ მოეპოვებათ საერობო გადასახადის გამღები მამულები. აღმასრულებელ ორგანოდ იქნება ნაწილის გამგეობა, რომლის სათავეშიაც იდგომება ნაწილის მამასახლისი. ნაწილის გამგეობის მთავარი საქმე იქნება: 1. ზრუნვა ადგილობრივ საზოგადო საქმეების მოსაწყობად და ხალხის საკეთილდღეოდ, 2. დაცვა საზოგადოებრივ წეს-რიგისა და მცხოვრებთა და მათ ქონების უზრუნველ-ყოფა; 3. სახელმწიფო და საერობო გადასახადების მოკრეფა და მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებების კანონიერ მოთხოვნილებათა ასრულება.

შემდეგ საფეხურად საერობო თვითმმართველობისა უნდა იყოს სამაზრო ერობა. ნამესტნიკის პროექტით ამ ერობას მეტი უფლება აქვს, ვიდრე რუსეთის სამაზრო ერობას. ამ ერობამ, მაგალითად, შეიძლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი, აიღოს სესხი, დააწესოს ბეგარა და სხვ. სამაზრო საერობო კრების ხმოსნებად იქნებიან: ნაწილის კრებებზე არჩეულნი და იმ კრებებზე არჩეულნი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერობო გადასახადის გამღებნი. ამათთვის დიდი საარჩევნო ცენზი იქნება დაწესებული. სამაზრო კრების ხმოსნების რიცხვი დაახლოვებით 50 უნდა იყოს.

უკანასკნელი საფეხური საერობო თვით-მართველობისა რუსეთში საგუბერნიო კრებაა. ამიერ-კავკასიაში კი, ნამესტნიკის პროექტით, უნდა დაარსდეს საოლქო ერობა, ესე იგი ერთი ერობა მთელ ამიერ-კავკასიისთვის. საოლქო ერობა და არა საგუბერნიო ნამესტნიკს შემდეგის მოსაზრებით უცვნია საჭიროდ. ჯერ ერთი—მაზრები გადიდებული იქნება, თითო სამაზრო ერობაში შევა 250,000—350,000 კაცი; მეორე—ამიერ-კავკასიაში საერთო საერობო მეურნეობა დიდი ხანია არსებობს, თუმცა დღეს ამ ერობის საქმეები ადმინისტრაციის ხელშია (არსებობს საერთო დაწესებულებები მთელ ამიერ-კავკასიისთვის: ტფ. და ბაქოს მიხეილის საავადმყოფონი, საბებიო ინსტიტუტი და სხვა), ამიტომ ამ საერთო საქმეების დანაწილება ძნელია; მესამე—ზოგიერთი გუბერნია ძალიან ღარიბია და ხარჯს ვერ გასწვდება; მეოთხე—ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ნაწილი კულტურით ჩამორჩენილია და მცხოვრებნი თვით მოქმედებისთვის მზად არ არიან.

ბაქოს საგრადონაჩალნიკო და ქალაქი ტფილისი ცალკე საერობო ერთეულებად იქმნებიან გამოყოფილნი.

საერობო თვით-მმართველობათა მოქმედების თვალ-ყურის სადევნებლად, ნამესტნიკის პროექტით, უნდა დაარსდეს მაზრის უფროსებსა და გუბერნატორებთან განსაკუთრებული კოლეგიალური დაწესებულებანი, რომელთაც უფლება არ ექნებათ საერობო დაწესებულებათა საქმეებში ჩაერიონ; მათ შეეძლებათ მხოლოდ პროტესტი განაცხადონ ამა თუ იმ დადგენილების ან მოქმედების შესახებ.

ნამესტნიკის პროექტი ხელმწიფე იმპერატორს მინისტრთა საბჭოსთვის გადაუცია. საბჭოს, განუხილავს რა იგი, მეტად რთულ პროექტად უცვნია. ამას გარდა საბჭოს აზრით, კავკასიაში არ აღმოჩნდება საკმაო რიცხვი საერობო მოღვაწეთა და გადასახადიც დიდი დააწვება ხალხს. საბჭო არც საოლქო ერობის თანახმა ყოფილა. საოლქო ერობა, იმის აზრით, ეწინააღმდეგება ერობის იდეას. ამას გარდა საოლქო ერობამ უნდა შეაერთოს დიდად განსხვავებული კუთხეები და სხვა და სხვა ხალხი, რაც სასარგებლო არ იქნებაო.

მინისტრთა საბჭოს ამიერ-კავკასიისთვის საჭიროდ უცვნია უფრო მარტივი ერობა, ისეთი, რომელიც „შეეფერება ამიერ-კავკასიის კულტურულ და ეკონომიურ სიღარიბესაო“. ასეთია, მისი აზრით, ორ-საფეხურიანი ერობა: პირველი იქნება სასოფლო უწოდებრივო ერთეული, მეორე—სამაზრო ან საგუბერნიო ერობა. ყოველ შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს აზრით საჭიროა კიდევ ცნობების შეკრება და ამ საკითხის დაწვრილებით შემუშავება.

აი სწორედ ამ აზრით, ცირკულიარის ბოლოში ნამესტნიკი ავალებს გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, მოაწყონ თათბირი საერობო დაწესებულებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. თათბირი თვითეულ გუბერნიაში მოხდება გუბერნატორის თავმჯდომარეობით. მიწვეული იქნებიან შემდეგი პირები: გუბერნიის მარშალი (ტფ. და ქუთ. გუბერნიებში), ვიცე-გუბერნატორი, სახაზინო პალატის გამგე, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობის უფროსი, საგლეხო საქმითა საკრებულოს მუდმივი წევრნი, საუფლისწულო უწყების წარმომადგენელი (სადაც ამ უწყების მამულია), საგუბერნიო ქალაქის თავი და აგრეთვე არა მოხელენი, მიწათ-მფლობელობის, სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი, საზოგადოდ გამოცდილი და მცოდნე კაცები. გუბერნატორს შეუძლიან აგრეთვე მოიწვიოს მაზრის წინამძღოლნი, მაზრის უფროსნი, გადასახადთა ინსპექტორნი, საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხვანი.

თათბირზე განხილულ იქნებიან შემდეგი საგნები:

1. ტიპი საერობო მეურნეობის გამგე დაწესებულებისა, რომელიც ეხლავე უნდა შემოღებულ იქნას ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში, მიუხედავად იმ ახალ საერობო დებულებისა, რომელიც გამოცემულ იქნება რუსეთისთვის, სახელდობრ: ა) შესაძლებელია თუ არა აქ შემოღებულ იქნას—ადგილობრივ პირობების შესაფერ საჭირო ცვლილებით—ერთ-ერთი იმ დებულებათაგანი, რომელიც ამ ჟამად მოქმედებს რუსეთში, ესე იგი რომელი შემოღებულ იქმნას: „1890 წლის 12 ივნისის საერობო დებულება 34 გუბერნიისთვის“, თუ „1903 წლის 2 აპრილის დებულება ცხრა დასავლეთ გუბერნიისთვის“. ბ. და თუ თათბირზე შეუძლებლად სცნობენ ამ დებულებათა შემოღებას ამიერ-კავკასიაში, — საჭიროა ეხლავე შეადგინონ პროექტი ახალ საერობო დებულებისა, რომელიც ძირეულად განსხვავებული უნდა იქნეს აწ მოქმედ დებულებათაგან და იქნება ამავე დროს საჭირო იყოს ადმინისტრატიულ მმართველობის შეცვლა. და ამიერ-კავკასიის დაყოფა ახალ ოლქებად, რომლებიც გაცილებით ვრცელები იქნებიან ეხლანდელ მაზრებზე,—და მათ მიეცეთ სამაზრო ერობის უფლება, იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ჩემს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, თუ სხვა წესით?

2. თუ შესაძლებლად სცნობენ, რომ ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქნას ერთი ერთი აწ მოქმედი საერო დებულება, მაშინ უნდა აღნიშნონ, თუ ადგილობრივ პირობათა მიხედვით რა ცვლილება და დამატება უნდა შეიტანონ ხსენებულ დებულებაში, როგორც საერობო დაწესებულებათა გარეგან ორგანიზაციის მხრივ, ისე—იმ საგნების მხრივ, რომელიც ექვემდებარება საერობო უწყებას.

ამას გარდა, თათბირზე განხილულ უნდა იქმნან შემდეგი საგნები:

3 რამდენად შესაძლოა დაარსდეს სოფლებში საზოგადო დაწესებულებანი, რომელნიც განაგებდნენ კეთილმყოფობას მაზრაზე უმცირეს ფარგალში (გამგეობანი სოფლისა, ვოლოსტისა, საბოქაულოსი), მათ სივრცეს, შემადგენლობას, მცხოვრებთა რიცხვს. სავალდებულოდ ყველგან შემოღებულ უნდა იქნას ეს დაწესებულებანი, ან, სამაზრო ერობათა შეხედულებით, განსაზღვრულ ადგილებში უნდა მოთავსდეს. შესაძლებელია თუ არა შემოღებულ იქნას მცირე საერობო ერთეული მაზრის დღევანდელ საადმინისტრაციო ნაწილების საზღვარში: სოფელში, სასოფლო საზოგადოებაში, და საჭიროა თუ არა ამისათვის მაზრა ხელახლად დანაწილდეს; (მაგალითად იმ ვოლოსტების საზღვრებში, რომელთა შემოღება განზრახული იყო ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში); რამდენი და სივრცის უნდა იყოს ეს ნაწილები.

4. რანაირი ქონებრივი ცენზი უნდა დაწესდეს არჩევნებში ადგილობრივ საერობო ხმოსნების მონაწილეობისათვის: ცენზი საადგილ მამულო თუ დაფასების მიხედვით, როგორც დაფასებული იყო 1890 წ. საერობო დებულების ძალით, ან ცენზი გადასახადის მიხედვით (საერობო გადასახადის რაოდენობის მიხედვით), როგორც დაწესებული იყო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებით ამიერ-კავკასიის გუბერნიების და ოლქებისათვის; რანაირი უნდა იყოს ცენზი დაბალ საერობო ერთეულში მონაწილეობისათვის და სამაზრო კრებებში ხმოსნების არჩევნებისათვის, იმათთვის, რომელნიც თვითონ ან რწმუნებულთა საშუალებით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ. (1890 წ. 12 ივნ. დებულების ძალით); რამდენად შესაძლებელია შემცირებულ იქნას ცენზის საერთო რაოდენობა, რომელიც დაწესებულია დღეს მოქმედ საერობო დებულებით, იმ მიზნით, რათა გადიდებულ იქნას ამომრჩეველთა რიცხვი.

5. რამდენი უნდა იქნას ხმოსნების რიცხვი საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო და საბოქაულო საერობო კრებებში. საჭიროა თუ არა ორ კურიად დაიყოს სამაზრო საერობო არჩევნები იმ პირთა, რომელიც მეტ გადასახადს იხდიან (მაგალითად, ერთი მესამედულია. მეორე კი ყველა დანარჩენ ამომრჩეველთა). სანიმუშო სამაზრო მოწესრიგება ხმოსნების რიცხვისა.

6. რამდენად შესაძლოა დაწესდეს, საგუბერნიო ერობათა ნაცვლად, საერთო ყველა გუბერნიებისა და ოლქებისათვის საოლქო ერობა, რომელიც გაწვდება მთელ ამიერ კავკასიას და მიენიჭება დღეს მოქმედ საგუბერნიო ერობათა უფლებანი. ამ საკითხის განხილვის დროს უპირველესად სახეში უნდა იქონიონ საქმის საფინანსო მხარე, ე. ი. შეუძლია თუ არა თვითეულ საგუბერნიო საერობო ერთეულს თავისი შემოსავლიდან მოსავალი ხარჯები დაჰფაროს. ამავე საფუძველზე განხილულ უნდა იქნას საზოგადო საკითხი საერობო დაწესებულებათა ხარისხების რაოდენობა, რომელიც ეთანხმება გუბერნიის ეკონომიურ მდგომარეობას (საკმაოა თუ არა ორ ხარისხოვანი ერობა, ე. ი. ყველა წოდებათა შემცველი დაბალი საერობო ერთეული და 8) სამაზრო ან საგუბერნიო ერობა; რამდენად შესაძლებელია შემოღებულ იქნას სამი ე ხარისხი: საბოქაულო, სამაზრო, საგუბერნიო ან იმის ნაცვლად საზოგადო მთელი მხრის ერობა: შესაძლებელია თუ არა მხოლოდ სამაზრო და საგუბერნიო ან საოლქო ერობა).

7) როგორი უნდა იყოს მთავრობის ორგანოები საერობო დაწესებულებათა მოქმედების ზედამხედველობისათვის. მიენდოს თუ არა ადგილობრივ საერობო დაწესებულებათ ზოგიერთი ზედმეტ საქმეთა გადაწყვეტა (მაგალ. ადგილობრივ სარწყავ არხების და სხ.).

8. როგორ უნდა უზრუნველყოფილ იქნას გუბერნიის საერობო დაწესებულებებში მკვიდრთა უმცირეს ნაწილის, კერძოდ კი რუს მცხოვრებთა უფლებანი, რადგან კავკასიის ყველა ნაწილებში სხვა და სხვა ეროვნებანი მისახლობენ.

9. განხილულ უნდა იქნას აგრეთვე სხვა საკითხებიც, რომელთაც თქვენი აღმატებულება გამოსარკვევად საჭიროდ სცნობთ.

დასასრულ ამ ცირკულიარით გუბერნატორებს ევალებათ მოახდინონ განკარგულება შეკრიბონ სწორი ცნობები საერობო შემოსავალ-გასავლის შესახებ, გამოარკვიონ, რამდენი ხდება თითეულს მკვიდრს გადასახადი სახელმწიფო, წოდებრივი, სასოფლო და სხ. რამდენია რიცხვი ცენზის მქონე პირთა, რომელნიც საერობო დაწესებულებებში მონაწილეობას მიიღებენ; რომელი საერობო თანხა შეიძლება გადაეცეს საერობო დაწესებულებებს და სხვა.

ზაქათალის ოლქის შესახებ საჭირო ცნობების შეკრება და მოსაზრებათა შედგენა მიენდობა ბ. ტფილისის გუბერნატორს, თათბირში განხილვის შემდეგ; სოხუმის ოლქის შესახებ—ქუთაისის გუბერნატორს, ბაქოს საგრადონაჩალნიკოს შესახებ—ბაქოს გუბერნატორს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი

ო ს მ ა ლ ე თ ი

სტამბოლი. დეპუტატთა პალატა. გადაიდო გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხი კრიტოსის შეკითხვის შესახებ.

სტამბოლი. ძლიერდება ქრისტიან ერების უკმაყოფილება. უკმაყოფილება გამოიწვია იმა', რომ პალატამ არ შეიწყნარა ქრისტიანი ერების შუამდგომლობა—კონსტიტუციაში შეტანილი იქნას, რომ თვითეულ ერს უფლება აქვს სკოლებში სამშობლო ენაზე ასწავლოსო. საბერძნეთის პატრიარქმა ოსმალეთის მთავრობას საბერძნეთის სახელით პროტესტი განუცხადა. პატრიარქი თხოულობს, დაცულ იქმნას სამშობლო ენის თავისუფლება. ბოლგარიის ეგზარხოსიც მხარს უჭერს პატრიარქს.

სტამბოლი. გაზეთებს ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთი ჯარის მობილიზაციას ახდენსო. ელიან, რომ რუმელიის კორპუსების მობილიზაციაც მოხდება. მაკედონიაში დღითი დღე იზრდება ბერძენ-ბოლგართა ურთ-ერთისადმი უკმაყოფილება. პირველ ივნისს მაკედონიის სხვა და სხვა ადგილას რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა მოხდა.

სამხედრო სასამართლომ 64 დიდ პირს გადასახლება გადაუწყვიტა. ამათ ბრალდებოდათ 31 მარტის არეულობაში მონაწილეობის მიღება. გადასახლება, სხვათა შორის, გადაუწყვიტეს გვარდიის დივიზიის უფროსად ნამყოფს შევკეთ-ფაშას და ჯევად-ფაშას.

ს პ ა რ ს ე თ ი

თავრიზი. ოსმალეთის კონსული საზაფხულოდ წავიდა სოფელ ლალაში, თავრიზის მახლობლად. საკონსულოში დარჩნენ სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი თავიანთ თანამოაზრეებით. ამ უკანასკნელებმა ისარგებლეს კონსულის წასვლით და საკონსულოს სადგომში მიტინგები გამართეს. ამას გარდა ესენი ქალ [illegible] აგიტაციას ეწევიან. ბაზარი [illegible] ფიდაიებს [illegible] მოისპო და ფიდაიებს შეძლება აქვთ ისარგებლონ არეულობით მცხოვრებთ ფული დასტყუონ.

სალმასტში ოსმალეთის ჯა მიერ დამარცხებული ფიდაები თავრიზში მიდიან. მათ ღამ-ღამობ ჩუმად იარაღი მოაქვთ. თუმცა შა კონსტიტუცია აღადგინა და საყ ველთაო ამნისტია გამოაცხადა, მ გრამ ფიდაები მაინც იარაღს არ ჰყრიან: რადგან ფიდაები თავრ ელარ ახერხებენ ძარცვა-გლეჯ ხალხის ძარცვა გზებზე დაიწყეს, დაც რუსები არ არიან.

საზღვარ-გარედ

პარიზი. სენატმა განიხილა ამნ სტიის შესახებ კანონ-პროექტი. მის მინისტრმა უარჰყო გოდენ-დე ვ ნის წინადადება ფოსტის მოხელეებ არ დასჯის შესახებ. ამის შემდეგ ნატმა მიიღო კანონ-პროექტი, რო ლითაც მედეგინეების და პირველ გარს გაფიცულთა შესახებ ამნისტია მოცხადდა.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ბიუ ტის განხილვის დროს უცხოეთის ხელმა მინისტრმა პრაშეკმა განაცხ სამწუხაროა, რომ ავსტრია გერმანი სისტემას ჰბაძავს. თუმცა პარლამენტ გერმანელები უმცირესობას შეადგენ მაგრამ მაინც ისინი სხვებზე გიანებს. ამის მიზეზად უნდა ჩაითვ ნენ პოლონელები, რომელნიც გერ ნელებს მხარს უჭერენ. თუმცა დოხელები ასე იქცევიან, მაგრამ ხები არასოდეს არ წავლენ პოლონელ ბის წინააღმდეგ. უნდა ვიმედოვნ რომ დადგება დრო, როდესაც სლავ ნები ხელიხელ ჩაკიდებულნი იმოქმედ ბენ. პრაშეკი წინააღმდეგია ბიუჯე სეიმის მუშაობის განახლებისა. სრულ პრაშეკმა განაცხადა: თუ რობა სამართლიანად მოექცევა ჩეხებს ეს უკანასკნელნი მთავრობის კანონ პროექტებს ხმას მისცემენ. ამის შ მდეგ იღ. პარაკა კრამარჟმა. ორატორ პოლონელებს უკიჟინა, სლავიანებ წინააღმდეგ მიდიხართო ჩეხები პოლო ნელებს დახმარებას არა სთხოვენ. ხები პოლონელებს მხოლოდ იმას სთხ

ფელეტონი

დ ი ლ ა

დილაა... დილა, ლამაზი,
ბრწყინვალე, ნათელ-მზიანი,
ვით დედოფალი კეკლუცი,
მორცხვი და თავაზიანი.

—

ღელავს გაშლილი მინდორი,
ნაპკური ცვარ-ნამიანი,
შრიალ-ტიტინით ბანს აძლევს
ჭაობი ლერწამიანი.

—

მაღლა ჰაერში ტოროლა
ფრთებს სწურავს, მიმოსრიალებს
და ქვეყნის სადიდებლად
ცისკრის ზარივით წკრიალებს.

—

ბარად დაეშვა რაკრაკით
სალი კლდის წყარო ანკარა;
ამბავს მოიმღერს მთისასა
კლდით კლდეზე მხტომი, წკანწკარა.

—

ჩუხჩუხით მორბის... იშლება,
უხვად რწყავს არე-მარესა;
დედის რძესავით ეტკბობა
გვალვით ჩათუთქულ მხარესა.

—

ამწვანებულა მიდამო
გულ-ჩათხრობილი ტყიანი;
გრძნობის ჩანგს დაჰკვნესს, დასხახის
ბულბული ამო-ხმიანი.

—

დილაა... დილა, ლამაზი,
კაშკაშა, ნათელ-მზიანი,
ვით პატარძალი კეკლუცი
მორცხვი და თავაზიანი.

—

ისმის მაყრული ციური,
სულის ზე-ამაფრენია
მაშვრალთ არეს კი... გვემულსა...
მწუხრის ზეწარი ჰფენია.

გოგია უიშვილი.

მტანჯავდა სევდა!

ისა სტიროდა
გულ-ამოსკვნილი;
ობლად შთენილი
ბედს უჩიოდა:
წრფელ მეგობრობას არვინ უწევდა...
იმდუღრებოდა, ცრემლებს აფრქვევდა...
მე კი... შავ-ბნელი,
მწველი ნაღველი
გულ-ღვიძლს მიღრღნიდა... მტანჯავდა სევდა!

*
* *

ის იცინოდა
აღფრთოვანებული;
ტრფობით ნთებული
სიამით თრთოდა...
ღიმილით კოცნას თვისკენ იწვევდა
და ნორჩსა გულ-მკერდს ნაზად არხევდა.
მე კი, უძლურსა
და უბედურსა
მაინც მქენჯნიდა, მტანჯავდა სევდა.

ი. გრიშაშვილი.

ზ ა რ ი

(სკიტალეცისა)

მე ვარ ლითონთა გუგუნ-გრიალი,
ხმა განგაშისა გალოფებული,
ენა მაქვს მძიმე—რკინა-ფოლადის
და მკერდ-ძვალთან შედუღებული!..
ჩემი გუგუნი თქვენს ტკბილ სიმღე-
ვერა, ვეროდეს შეეგუების: | რას
მე ვუხმობ ტანჯულთ და გულიც სტე-
| დავს
მკერდში გულობას შურის-ძიების!..
იქ ალვიზარდე დაბლა, ჭაობში,
იქ გულიც სიმწრით გამოფოლადდა;
ბედი მდევნიდა თავიდან დღემდის,
არარად მრაცხდა, მარად მქოლავდა!.
დიახ, ბედი და მით სული ჩემი
სისხლის ემბაზში მირონ-ცხებულა
და მიტომ გულში ხმა სიყვარულის
სრულად გამქრალა, მინელებულა!..
მხოლოდ წარმოვსთქვამ მრისხანე
| სიტყვებს
ალ'ში ნაწრთობი, ცეცხლ-მოდებული,
ჩემთვის სიტყვებში: „ვწყევლი და
| ვკრულავ“
ყველაფერია შეერთებული!..

დ. თომაშვილი.

რას იტყვის სოფელი!

სახელმწიფო სათათბირო.

ვ. დოროშევიჩისა.

ხომიაკოვი. სხდომა დაიწყო.

სტენოგრაფისტი ქალი (შეშინებული). ბ-ნო თავმჯდომარევ, ჩვენ წავიდეთ თუ დავრჩეთ? ჩვენ ქალები ვართ და მგონი დღეს ლანძღვა იქნება.

ხომიაკოვი. ჯერ დარჩით: ლანძღვა მერე იქნება. მე გეტყვით. სიტყვა ეკუთვნის...

მინისტრი (არ დაცდის და ხელად ახტება ტრიბუნაზე). ბ-ნნო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! ბ-ნ მილიუკოვთან ერთად ოცდა ათმა შემოიტანა წინადადება ქალაქ ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ მთავრობა უმაღლეს განათლების საკითხში სავსებით ეწინააღმდეგება ოპოზიციას! (მგრგვინავი ტაშის ცემა მარჯვნივ. მინისტრი ირონიულად იქით იცქირება, საითაც ტაშს უკრავენ. მიუბრუნდება ოპოზიციას). დიახ, ბატონებო, თქვენ ოცნებობთ უნივერსიტეტებზე ცენტრებში, დიდ ქალაქებში. მთავრობა-კი ოცნებობს, რომ უნივერსიტეტი ყველა სამაზრო ქალაქში იყოს.

ოქტომბრისტებს შორის ტაშის ცემაა. ისმის ხმები:

— ახ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, საუცხოვოა! მინისტრი ირონიულად უცქერის მათ.

მინისტრი. დიახ! ჩვენა გვსურს, რომ ყოველ სამაზრო ქალაქს თავისი უნივერსიტეტი ჰქონდეს!

გეგეჭკორი (გოდებით). ნება მიბოძეთ, მამაშვილობას: ნუ თუ ძალაში დარჩება გადასახადების წესი „საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრების აკრძალვით“? სადღა იცხოვროს მაშინ ხალხმა, როდესაც ყველგან უნივერსიტეტი იქნება!?

კადეტები (აღელვებულნი). ეს მთავრობის ინტრიგაა!

მინისტრი (კადეტებს ყურადღებას არ აქცევს). მაგრამ, მოწყალენო ხელმწიფენო, თქვენ გამოგგზავნათ აქ ჩვენმა ქვეყანამ, რომლის აზრსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ, ანგარიში უნდა გაუწიოთ ქვეყნის უმრავლესობის აზრს! (გრძნობით) რუსეთი სასოფლო ქვეყანაა. მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ გლეხები ჩვენში 90 პროცენტს შეადგენენ.

ხმები მარჯვნიდან (ანჩხლად). მეტს, მეტს შეადგენენ.

ჩხეიძე (წამოხტება). 101 პროცენტს!

პურიშკევიჩი. ურიული პროცენტი! (უჩვენებს ღორის ყურს)

ხომიაკოვი (ღიმილით). მოვიწოდებ სახელმწიფო სათათბიროს წევრს... ჩხეიძეს... არითმეტიკისადმი! (ყველანი იღიმებიან).

მინისტრი. ჩვენ არ შეგვიძლიან ანგარიში არ გავუწიოთ ქვეყნის დიდ უმრავლესობის აზრს! (გრძნობით) ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ მას! ვთქვათ, დავაარსეთ ახალი უნივერსიტეტი. ვინ იცის, რას იტყვიან ამაზე სოფელში? (ნაპოლეონისებურად ხელებს გულზე ჯვარედინად დაიწყობს).

მემარჯვენენი (წამოცვივიან, ხელებს გაიშვერენ). მე ვიცი! მე ვიცი! ნება მომეცით, გიპასუხოთ! მე!

მინისტრი. ბრძანეთ!

მარკოვი მეორე (წამოვარდება).

სტენოგრაფისტი ქალი (წამოიჭრება ზეზე. ხომიაკოვს). წავიდეთ?

ხომიაკოვი (დამშვიდებით). დაიცათ ჯერ.

მარკოვი მეორე. სოფელი იტყვის: „კიდევ „ნივერსიტეტებს“ აშენებენ! „სკუბენტებს“ ამრავლებენ!“

მინისტრი (ცრემლებს იწმენდავს). ხალხის ხმა მესმის...

პურიშკევიჩი. ნება მიბოძეთ, ანეგდოტი მოგახსენოთ.

სტენოგრაფისტები. (ქაღალდებს ხელს წაავლებენ).

ხომიაკოვი (შეშინებული). ბ-ნო პურიშკევიჩო!.. შემდეგ იყოს... კიუბას რესტორანში...

პურიშკევიჩი. სალდათს ჰკითხეს: „რა არის სალდათიო.“—სალდათი არის დამცველი შინაური და გარეშე მტრებისაგანაო, მიუგო მან, „ვინ არის გარეშე მტერი?“—იაპონელები. „შინაური?“—სკუბენტები.

შულგინი. აი ხალხის ხმა!

მინისტრი. (გრძნობით) და ჩვენც პატივს უნდა ვცემდეთ მას! უნდა შევიწყნაროთ ხალხის ნაკლულოვანებანიც, როგორც ვიწყნარებთ მშობელ მამის ნაკლულოვანებებს. ამას გვავალებს ხალხის სიყვარული და პატივისცემა (თან-და-თან უფრო მეტის სიძლიერით). ამ ახალ უნივერსიტეტში, სხვათა შორის, განზრახული იყო სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა. ბატონებო, მე მწუხარებით უნდა აღვიარო, რომ ჩვენი სამკურნალო მეცნიერება ნაციონალური არ არის...

ფონ-ანრეპი. —რა არის ეს რაღაც ნაციონალური მეცნიერება!?

მინისტრი (მრისხანედ). ჩაიხედეთ „ნოვოე ვრემიას“ განცხადებაში! იქ არის ექიმობა ტიბეტური, ჩინური, სპარსული, ხოლო ჩვენი ექიმობა-კი ნაციონალური არ არის. იგი ასწავლის ანატომიას. ანატომია უცხოა რუსის ხალხისათვის! რუსის ხალხი დასაბამიდან მიჩვეულია მკვდრების პატივისცემას. ამაზე პუშკინმაც კი სთქვა თავის «Черни»-ში: Она любить умѣетъ только мертвыхъ. რუსის ხალხმა შეჰქმნა ოცდათორმეტი მშრომელთა შაბათი! მას გადაკვრაც უყვარს სასაფლაოზე! რუსის ხალ ღრმა გულის წყრომას აცხადებ როცა მიცვალებულებს სჭრიან. რა იტყვის სოფელი, როდესაც გაიგე რომ ჩვენ დავაარსეთ ისეთი და სებულება, სადაც მიცვალებულებ სჭრიან! „მკვდრებსაც არ ასვენებე ნო“,—იტყვის სოფელი:—განა ამ სთვის გავგზავნე კაცებიო“! ამ გამო წინადადებას გაძლევთ რუსის ხალხის გრძნობების და ჩვენი სოფლის შეხედულების პატივისცემისათვის უარჰყოთ წინადადება ახალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. (ცენტრი ტაშს უკრავს. მინისტრი ტრიბუნიდან ჩამოდის).

მილიუკოვი. მე მინდა...

მარკოვი მეორე. ხმა გაკმინდე! (პიუპიტრს ამტვრევს).

პურიშკევიჩი. ვიბორგის ბაყაყ

სხვა მემარჯვენენი. ეშმაკებ ნაღლიავ!.. კადეტების ჯოჯო ანათემა!.. ანა-თე-მა!..

ხომიაკოვი. ქალებო! აბა ჩქარ თავს უშველეთ!

სტენოგრაფისტი ქალები გარბიან კარანდაშები ვარდებათ. ხომიაკოვ გარბის და თან ზარს აწკარუნებ მემარჯვენენი ტრიბუნას ეცემ მარკოვი მეორე ტრიბუნას [illegible] ტვრევს. ზაისი [illegible] „ურა“ ყვირის. პურიშკევიჩი კედელზე უწ წურ სიტყვებსა სწერს.

ხომიაკოვი. (ხაროდან) ნებას მ ცემთ ბ-ნ მილიუკოვის წინადადე უარყოფილად გამოვაცხადო?

დეპუტატები. უ-უ-უ.

ტავრიდის სასახლის ეზოში შ დის ცეცხლის მქრობელთა რაზმ ვილაც ფანჯარას ამტვრევს. წყლ სახამ მილებს დეპუტატებისკე გაიშვერენ. რაზმის უფროსი ბრძა ნებას აძლევს: „ჩქარა წყალი“!

ფ ა რ დ ა.

ტეხურის-პირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ენ, რომ ხელს ნუ უშლიან, როდესაც ჩეხები იცავენ სლავიანთა ერ...ს, მათ შორის პოზნანისა და ...ეთის პოლონელების სწორ უფლებობას. ჩვენ არავისი დახმარება არ გვესაჭიროება. - ჩვენ იმდენად ძლიერნი ვართ, რომ თავს დავიცავთ. ...ნ ვერავინ“ ვერ შეგვაშინებს“. ორატორმა აღნიშნა, რომ სლავიანთა ცხოვრებაში უსამართლობა უნდა მოისპოს, ...ეთის პოლონელებს თავიანთი უფლება უნდა დაუბრუნდეთ, ამისთვის ემუ...მათ და ხელს ნუ შეგვიშლითო. ამის შემდეგ ილაპარაკა პოლონელმა გლომბინსკიმ. მან სთქვა: პოლონელთა დეპუტატების მოქმედება მათ ეროვნულ ინტერესებსა და მათ პარტიულ პრინციპებს ეგუება. პოლონელები სლავიანების წინააღმდეგ არ მიდიან. პოლონელები რეალურ პოლიტიკაზე სდგანან და ჩეხებს იმ დრომდის ვერ შეურიგდებიან, სანამ ეს უკანასკნელნი თავიანთ უარჭყოფით პოლიტიკას არ შესცვლიანო. ორატორმა მთავრობას და პარტიებს მიმართა, მოამზადეთ ნიადაგი, რომ შრომის მოყვარე უმრავლესობა შესდგეს. ეს კი მაშინ შეიძლება, როდესაც გერმანელები და ჩეხები შეერთდებიანო.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკიდან დეპეშებით ატყობინებენ: ამერიკის სახელმწიფოს წინადადებით ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა, არ დაამტკიცოს ინგლის-გერმანია-საფრანგეთის სესხი. ეს სესხი ხანკოუ-სიჩუანის რკინის გზისთვის იყო საჭირო.

ბერლინი. რეიხსტაგი შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას რომლითაც მემკვიდრებას ახალი გადასახადი უნდა დაედოს. კანცლერმა ბიულოვმა გააცნო რეიხსტაგს თავისი შეხედულება ამ რეფორმაზე. მან განაცხადა: სახელმწიფო ხარჯში ყველა კლასმა უნდა მიიღოს მონაწილეობა და ეს არ უნდა ავიწყდებოდეთ კონსერვატორებს. მე ვთხოვ კონსერვატორების პარტიას. ეს პარტია იშვიათად მოისწრობა ისეთ კანცლერს, რომელიც ჩემსავით იცავდეს სოფლის მცხოვრებთა ინტერესებს, მაგრამ მთავრობა კონსერვატორების რწმუნებულად ვერ გადაიქცევა. დიდი უსამართლობა იქნება, რომ კანონ-მდებლობაში ლიბერალურ იდეებით არ ვისარგებლოთ. შეძლებულ კლასების მოვალეობაა, იკისრონ ნაწილი ახალ გადასახადებისა. მე არ დავიცავ ისეთ გადასახადებს, რომელიც მრეწველობას ზიანს მიაყენებსო. დასასრულ ბიულოვმა სთქვა: კანცლერად იმ დრომდის დავრჩები, სანამ იმპერატორს სურს ამ თანამდებობაზე ვიყო, სანამ დარწმუნებული ვიქნები, რომ სარგებლობა მომაქვსო. ბიულოვის სიტყვას მემარცხენენი ტაშით მიეგებნენ. მემარჯვენენი ჩუმად ისხდნენ. ბიულოვის შემდეგ ილაპარაკა სტატს-სეკრეტარმა სიდოვმა. მან დაიცვა მთავრობის კანონ-პროექტები და განაცხადა, საფინანსო კომისიის ახალი პროექტი გადასახადებისა მისაღები არ არისო.

სიმლა. როგორც საზღვრიდან იუწყებიან, ავღანისტანის ჯარს ლი-ენტფორდის თოფებით აიარაღებენ. წინანდელ თოფებს მოხეტიალე ტომებს გადასცემენ. საზღვარზე წესრიგების დასაცავად ემირი სამ პოლკსა გზავნის.

რუსეთი

ნიკოლაევსკი. შანტარის კუნძულებზე (შორეულ აღმოსავლეთში) თრი იაპონელი თავს დაეცა ოთხ მონადირე—გილიაკს. იაპონელებმა ოთხივე დასჭრეს, ორი თოფით, ორიც დანით. გილიაკებმა თავიანთ მხრივ მოჰკლეს 16 იაპონელი. ამას გარდა შემოდგომაზე კუნძულ რუმიკანზე გადავიდა ორი რუსი და ერთი გერმანელი, რომელნიც უკვალოდ დაიკარგნენ. ფიქრობენ, რომ ესენიც იაპონელებმა გაჰხოცესო.

კურსკი. სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა შჩიგროვის გლეხთა კავშირის საქმისა. საქმის გარჩევა ერთ თვეს გასტანს. სამართალში 91 კაცია მიცემული, მოწმედ 500 კაცია დაბარებული.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 22, გარდაიცვალა 6 კაცი.

უფა. ზლატოუსტში დიდი წვიმა და სეტყვა მოვიდა. მდინარე გრომატუხა ნაპირებიდან გამოვიდა. სახლები და დუქნები წყლით გაივსო. დაიხრჩო გიმნაზიელი ქალი, რომელსაც წყალმა ქუჩაში მოასწრო. ბევრი ხალხი ძლივ-ძლიობით გადაარჩინეს. გაფუჭებულია ტელეგრაფის ბოძები. ზარალი დიდია.

შავლი. დაბა ჟაგორში გადაიწვა 150-ზე მეტი სახლი. ზარალი 300,000 მანეთამდეა.

ნოვოჩერკასკი. დონის-როსტოვსა და ნოვოჩერკასკში აღმოაჩინეს ყალბი ფულის მკეთებლები. დააპატიმრეს ექვსი კაცი. წაიღეს 1000 მანეთის ყალბი ფული და ლიტოგრაფიის მოწყობილება.

ეკატერინოდარი. კავკავის გზაზე სადგურ ლინენს თავს დაეცა 10 შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი. წაიღეს 250 მანეთამდე და 2 რევოლვერი. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

პეტერბურგი პარაკლისის გადახდის შემდეგ ბალტიისა დ ნოვო-ადმირალის ქარხნებში შეუდგნენ ოთხ ჯავშნიან გემის შენებას. გემები „დრედ-ნოუტის“ ტიპისანი იქნებიან. გემების სახელები: „პეტრო-პავლოვსკი“, „პოლტავა“, „სევასტოპოლი“ და „განგუტი“. თითო გემის წყალწყვა 120,000 ტონი იქნება, სიგრძე 180; სიგანე 27 მეტრი.

ვინდავა. დილის 10 საათზე გემმა „ჰოჰენცოლერნმა“ სხვა გემის თანხლებით ნავთსადგურის გვერდით გაიარა.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით თანამდებობიდან განთავისუფლეს სრულიად რუსეთის აურსათის საქმის გამგე გოფმეისტერი გერბელი. იმის ადგილას დაინიშნა შტალმეისტერი ფრიში.

დღეს სომეხთა კათალიკოსი იზმირლიანი წავიდა გატჩინაში, სადაც იგი დედოფალმა მარიამ ფეოდორის ასულმა მიიღო.

ჟიტომირი. კოველსკის მაზრაში ჩამოეშო ჰაეროპლანი. ჰაეროპლანში გერმანელი აფიცრები იჯდნენ. ჰაეროპლანის ჩამოშვების დროს ერთი აფიცერი დაშავდა.

პეტერბურგი. სამხედრო ოლქის სასამართლომ დაამთავრა 12 სოციალისტ-რევოლიუციონერის საქმის გარჩევა. ამათ ჰბრალდებოდათ ფინლიანდიაში, კუოკოლაში სკოლის დაარსება, სადაც ყუმბარების კეთებას და შენახვას ასწავლიდნენ. სასამართლომ გადაუწყვიტა: ცხრას 4—9 წლის კატორგა და ორს—გადასახლება. ერთი გაამართლა.

ჟურნალისტის დღიური

2.

კულტურული მუშაობა.

ჩვენი ცხოვრების მემატიანე ამა თუ იმ მოვლენის აღნიშვნის და დაფასების დროს ათასნაირ გრძნობას განიცდის: ხან სასოწარკვეთილებაში ვარდება, ხან კიდევ უიმედობის მორევიდან გამოდის და უკეთეს მომავლით აღფრთოვანებული სამოქმედოდ იწვევს ყველას. შეიძლება ერთიც და მეორე გრძნობაც არ შეეფერებოდეს საქმის ნამდვილ ვითარებას; შეიძლება ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირე არც თუ ისეთი იყოს, როგორც ეს მემატიანეს ჰგონია, ან კიდევ შეიძლება სრულიად უსაფუძვლოდ ეძლევა ხოლმე სიხარულს. მაგრამ რაც უნდა გადაჭარბებულად აფასებდეს მემატიანე მიმდინარე ცხოვრების კარგსა და ავს მომენტებს, მას ცოტაოდენი გასამართლებელი საბუთი მაინც ექნება. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ ისეთი მოიპოვება, რასაც შეუძლიან მწერალში ორგვარი გრძნობა გამოიწვიოს,—ხან აღაფრთოვანოს, ხან კიდევ დაალონოს და სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს.

ჩემს პირველ წერილში, მაგალითად, სხვათა შორის ქართველ სტუდენტებზედაცა ვსწერდი. მკითხველი იმ წერილში ქუთაფერს სანუგეშოს ვერა ნახავდა. ბევრს შეიძლება ასეთი დასკვნა სტუდენტების შესახებ გადაჭარბებულადაც ეჩვენოს. მაგრამ ის, ვინც გულ-ახდილად და გულწრფელად მოისურვებს ჩვენი სტუდენტობის ფიზიონომიის გამორკვევას, აუცილებლად ამნაირ დასკვნამდე მივა. შიშის ჟრუანტელი უვლის ადამიანს, როდესაც მოიგონებს, რამდენი ძალა და ფული იხარჯება სტუდენტების გამოსაზრდელად, რანაირის ფანატიზმით ეკიდებიან ჩვენი მშობლები შვილების უნივერსიტეტში გაგზავნის საქმეს და ამასთან რა ცოტა ნაყოფი მოსდევს ამ უზომო მუშაობას. ქართველი სტუდენტობა, როგორც მასსიური ელემენტი, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს ჩვენის კულტურისათვის. ნაწილი ამ სტუდენტობისა, მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონე შესწევს კულტურულ მუშაობისთვის, სრულიად დაშორებულია სამშობლო ნიადაგს, უფრო დიდი ნაწილი კი მხოლოდ პირად კმაყოფილებას ანდომებს მთელ თავის დროს. მას საზოგადო საქმეები არ აინტერესებს, ქართველთა ცხოვრებას თვალ ყურს არ ადევნებს. თუ სამშობლოში ბრუნდება, მხოლოდ იმიტომ, რომ პირადი ცხოვრება მოაწყოს კარგად. თუ ეს ვერ მოახერხა, რუსეთშიაც კარგადა ჰგრძნობს თავს. კარიერა ერთად-ერთ სათაყვანებელ ღმერთადა აქვს გადაქცეული ქართველ სტუდენტობის უმრავლესობას.

რას უნდა მოელოდეს ქართველი საზოგადოება ასეთის სტუდენტებისაგან? ბევრს არაფერს. ნუროვინ იფიქრებს, ვითომ მე უმაღლეს განათლების წინააღმდეგი ვიყო. ეხლანდელ დროში უმაღლეს განათლების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ უნივერსიტეტის გათავება და უმაღლეს განათლების მიღება ერთი და იგივე არ არის. საზოგადოდ რუსულ უნივერსიტეტების მექანიზმი იმნაირია, რომ, სტუდენტობამ თვითონ არ მოისურვა, უნივერსიტეტიდან დიპლომის მეტს ვერაფერს წამოიღებს ქართველ სტუდენტების დიდ ნაწილს კი არც სურვილი აქვს და არც უნარი უმაღლეს სწავლის მიღებისა. თავიდანვე უხასიათო ეს ნაწილი უნივერსიტეტშიც ასეთი რჩება და ამ „მეცნიერების ტაძრიდან“ სრულიად უმეცარი გამოდის. ხელში მხოლოდ დიპლომები უჭირავთ. ამისთანა ხალხი, რასაკვირველია, მაშინვე ბიუროკრატიულ კიბეს შეუდგება: იმისი ადგილი მხოლოდ იქ არის.

ასეთია საზოგადო სურათი სტუდენტებისა. მიუხედავად ამისა, როგორც ყველგან, აქაც ბევრი გამონაკლისია. არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც მუყაითად მუშაობენ, ცოდნას იძენენ და მერე უნდათ ეს ცოდნა და მთელი თავიანთი ძალ-ღონე ხალხს ანაცვალონ, იმ ხალხს, რომელმაც გამოზარდა და რომელიც იმათგან დახმარებას ელის. ასეთი სტუდენტობა ცხლაც არ დაიკრეფს გულზე ხელს და უსაქმოდ არ დარჩება.

ზაფხული დგება. დიდი ნაწილი ქართველ სტუდენტებისა სოფლებში წავა. ისე არსად არ არის საჭირო ინტელიგენტური ძალა, როგორც სოფელში, მეტადრე ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერისთვის. საერობო თვით-მმართველობა ჩვენში არ არის და ამიტომ მთელი ინტელიგენტური ძალა ცენტრებში გროვდება. სოფელი კი უპატრონოთ არის დარჩენილი. „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო“, ნათქვამია. სტუდენტები და საზოგადოთ მოსწავლე ახალგაზდობა ერთად-ერთი ელემენტია, რომელსაც შეუძლიან სოფელში ცოტა-ხნის ყოფნით ისარგებლოს და გააკეთოს რამე.

სამუშაო კი ბევრია. ნუროვინ იტყვის, ორი და სამი თვით რა საქმე უნდა გაკეთდესო. ავიღოთ თუნდა ის საქმე, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ განიზრახა. მათ უნდათ სტატისტიკური ცნობები შეჰკრიბონ სოფლის ვითარების შესახებ. წრემ კიდეც გამოსცა შესაფერი კითხვის ფურცლები. თითქმის სოფელი არ არის ჩვენში, სტუდენტი რომ არ იყოს. მაშასადამე, ვინც არ დაიზარებს, შეუძლიან საქმე გააკეთოს. სხვა საქმეც ბევრია სოფლად. იქ, სადაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებებმა უკვე დაიწყეს მოქმედება, სტუდენტებს მათ ხელ-მძღვანელობით შეუძლიანთ მოქმედება, სამოქმედო ასპარეზი დიდია. საჭიროა მხოლოდ სურვილი, გულწრფელი სურვილი და საქმის სიყვარული. **შინაური.**

პროფ. ვას. პეტრიაშვილის

ფონდის შესახებ

ბ. ი. მოსეშვილმა გუშინ წერილი დაჰბეჭდა, რომელიც უსაფუძვლოდ სხვის უფლების შელახვას სწამებს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას. უკანასკნელს ფიქრადაც არ მოსვლია როგორმე ან რითიმე უპატივცემულოდ მოეპყრას განსვენებულ მეცნიერის ძვირფას ხსოვნას, ან მის ფონდის დამაარსებელთა სურვილს.

საქმის ნამდვილი მდგომარეობა ასეთია: შარშან რომ პროფ. პ. მელიქიშვილმა ოდესაში შეგროვილი ფული გამოუგზავნა წ.-კ. საზოგადოებას ვ. პეტრიაშვილის ფონდისთვის, მოიწერა: ეს ფული უნდა მოხმარდეს „განმანათლებელს საქმეს ვ. პეტრიაშვილის სახელობაზე“, „სკოლის დაარსებას ან სხვა განმანათლებელ დაწესებულებას ვ. პეტრიაშვილის სახელობაზე“, „განმანათლებელ მიზანს ვ. პეტრიაშვილის სახელობაზე“-ო. ამგვარია სიტყვა-სიტყვით პრ. მელიქიშვილის სურვილი, გამოთქმული სხვა და სხვა წერილში.

როცა წელს გაზაფხულზე წ. კ. საზოგადოების გამგეობამ განიზრახა სახალხო მასწავლებელთა კურსების გამართვა და ეძებდა წყაროს ხარჯის დასაფარავად, ყურადღება მიაქცია პროფ. ვ. პეტრიაშვილის ფონდს და იმ აზრს დაადგა, რომ შეიძლებოდა ნაწილი ვ. პეტრიაშვილის ფონდისა მოხმარებოდა კურსების მოწყობას, რომელსაც უნდა დარქმეოდა სახელად „პროფ. ვასილ პეტრიაშვილის კურსები“, და ასეთი მოხმარება ფულისა არ იქნებოდა წინააღმდეგი ფონდის დამაარსებელთა სურვილისა და მიზნისა.

ეს გეგმა ბ-ს პ. მელიქიშვილს და ი. გოგებაშვილისთვის ეთხოვნა, შემატყობინეთ საქმის ნამდვილი ვითარებაო. ბ-ნ მელიქიშვილს მე მივწერე გამგეობის შეხედულობა და პასუხად მივიღე წერილი, რომელშიაც ითხოვდა, რომ ვ. პეტრიაშვილის ფონდი იყოს ხელუხლებელი, სანამ არ გაიზრდება იმდენად, რომ მისი ფულით აშენდეს სკოლა ან სარგებლით დახმარება მიეცეს სკოლას ან დაარსდეს სტიპენდია. ბ-ნ მელიქიშვილის წერილი გადაეცა გამგეობას, რომელიც დაემორჩილა მის მოთხოვნას და გადასწყვიტა ხელი არ ახლოს ვ. პეტრიაშვილის ფონდს.

რასაკვირველია, შეგვიძლიან ვიდავოთ, რა უფრო სასარგებლო და საჭიროა—სკოლის დახმარება, თუ მასწავლებელთა კურსების გამართვა ან სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემა ფონდის ფულით, მაგრამ ფონდის დამაარსებელთა სურვილს ვერვინ გადაუვა და არც წ. კ. საზოგადოების გამგეობას უფიქრნია ამის შესახებ ვისმე ეკამათოს.

მდივანი წ. კ. საზოგადოებისა
ს. ფირცხალავა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქართული გიმნაზია**. ტფ. ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა ძლივს გაჭირვებით გაატარა სასწავლო წელი, რადგან უფულობისა გამო გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გიმნაზიის შესანახად 40,000 მანეთზე მეტი ვერ გადასდო, მაშინ როდესაც წინა წლებში 80,000 მანეთამდე აძლევდა. ხარჯთ აღრიცხვით გიმნაზიისათვის წელსაც ცოტაა გადადებული. სულ განზრახულია 48,000 მანეთის გადადება.

✦ **თავად-აზნაურთა კრება**. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ 4 ივნისის სხდომა მთლად მოანდომა საადგილ-მამულო კომისიის მოხსენებას. კამათმა საღამოს 5 საათამდე გასტანა. ანგარიშს ამ კრებისას ხვალ გავაცნობთ მკითხველებს.

✦ **სამი ფუთი თოფის ტყვია**. ბაქოში გაუჩხრეკიათ გემი „უსეინ-მამედი“, რომელიც ის იყო სპარსეთში უნდა წასულიყო. გაჩხრეკის დროს უნახავთ სამი ფუთი თოფის ტყვია.

✦ **დაჯარიმება**. გენერალ გუბერნატორის განკარგულებით ოცდა ხუთ-ხუთი მანეთით დაჯარიმებულ იქმნენ: მეპურე ასლან არჩვაძე და ყასაბი რომანაშვილი, მეეტლე ლოსიტოვი, მედროგეები ბაბა ოღანეზოვი, ტერეშჩენკო თითო; 5 მან.—სერგო სარქისოვი და ეკატერინე მაისურაძე; 1 მან.—ბედროს პრუდიანცი. ყველა ამათ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა ჰბრალდებათ.

✦ **უპასპორტოების დაპატიმრება**. პოლიციის მე-8 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი.

✦ **სეირნობის შემოსავალი**. სეირნობიდან ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას წმინდა შემოსავალი დარჩა 400 მანეთზე ცოტა მეტი.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება**. ივნისის ბოლო რიცხვებისათვის განზრახულია წლიური კრება დრამატიულ საზოგადოებისა, კრება განიხილავს წასული წლის ანგარიშს, ხარჯთ-აღრიცხვას და სხვას.

✦ **პერუშკინის მოწოდება**. ჰეშმირიტ რუსთა კავშირის ორგანოს „რუსსკოე ზნამია“-ში შემდეგი მოწოდებაა დაბეჭდილი, ტფილისში კარგად ცნობილ პერუშკინისა: „კეთილო რუსის ხალხო! მე ტფილისში 12-ჯერ თავს დამესხნენ, სამჯერ ყუმბარა მესროლეს და 123-ჯერ რევოლვერი. ღვთის მადლით, სიკვდილს გადავრჩი, მხოლოდ მარცხენა მკლავი და მარცხენა ფეხი დამიშავდა. ამ ჟამად საშინელ შიმშილს განვიცდი. შესაწახი მყავს მცირე წლოვანი შვილი. გთხოვთ, ნურავინ დაიშურებთ წყალობს“.

✦ **შირაქი**. შირაქში მიწის-მზომელთა კომისია იგზავნება. კომისიამ უნდა გამოარკვიოს იმ მიწაადგილის რაოდენობა, რომელიც ქართველ მეცხვარეებს უჭირავთ, და აგრეთვე დაათვალიეროს და ცნობაში მოიყვანოს ის მიწა-ადგილი, რომელიც გადმოსახლებულ რუსებს უნდა დაეთმოთ.

✦ **ტრამვაის შესახებ**. როგორც ვწერდით, ამ დღეებში მოხდარა ორი სხდომა ნამესტნიკის მიერ დანიშნულ კომისიისა ტრამვაის საქმეების გამოსარკვევად. ამ სხდომებზე შეთანხმებულან სახელოსნოებისა და ელექტრონის სადგურის მუშები და დირექცია. ამ დღეებში მოხდება კრება ვატმან-კონდუქტორებისა და დირექციის შესათანხმებლად.

✦ **საქართველოს საეგზარხოსოს საქმე**. „გოლოს მოსკ.“-ში დაბეჭდილია: „სინოდის სამეურნეო გამგეობამ შეიმუშავა აღრიცხვა იმისა, თუ რა ხარჯი დასჭირდება კავკასიაში საეგზარხოსოს ნაცვლად ახალ ეპარქიების დაარსებას. სამეურნეო გამგეობის აზრით, ამ საქმეს ეყოფა ის ფული, რაც სინოდის განკარგულებაშია, ასე რომ საჭირო არ იქნება ხაზინიდან ფულის გაღება ან ნახელმწ. სათათბიროში კანონპროექტის შეტანა. ეპისკ. ინოკენტიმ მოხსენება შეიტანა სინოდში. ეპ. ინოკენტი საშიშოდა სცნობს საეგზარხოსოს გაუქმებას. იმის აზრით, ეს ზომა კავკასიაში აღელვებას გამოიწვევს“.

✦ **ანდერძი**. განსვენებულმა ეპისკოპოსმა პეტრემ დასტოვა 13,000 მან. ამ ფულიდან წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვა 400 მან. ეს ფული უკვე მიიღო საზოგადოებამ.

✦ **სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი**. წელს სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა: პირველ ხარისხით ივანე ბერიშვილმა, მელქისედეკ კანდელაკმა, ნიკოლოზ კობიაშვილმა, ა. ხატისკაცმა და დავით გაჩეჩილაძემ, ხოლო მეორე ხარისხით: შიო ქასრაძემ, მელიტონ სხირტლაძემ, ტარასი მალანიამ, აკაკი ნამიჩეიშვილმა და ვანო გარსიაშვილმა.

✦ **ღელვა**. შავ-ზღვაზე სოჩისკენ დიდი ღელვა ყოფილა- ტალღას გემი „ტერორი“ ნაპირზე გაურიყავს. გემი 10,400 ფუთი ცემენტით ყოფილა დატვირთული. დაღუპულა მატროსი.

✦ დღეს, 5 ივნისისთვის დანიშნულია სომეხთა გაიანეს სკოლის დარბაზში საზოგადო კრება სომეხ მასწავლებელთა პროფესიონალურ საზოგადოებისა.

✦ ზემო-აჯამეთში, რუსიშვილის ბაღში, ვიღაცეებს [illegible] წლოვან ახალგაზრდა [illegible] დი, შემდეგ [illegible] დებიათ. მატარებელს ზედ გადაუვლია (ტ. დ.)

✦ 4 ივნისს პოლიციის მე 8 ნაწილში დააპატიმრეს საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლებულნი და თავიანთ ნებით დაბრუნებულნი სოლომან ქორიძე, იუსუფ კოლბაკოვი, გეურქ დარჩოვი.

„ფაუსტი“ ქართულ ენაზე

ყველამ კარგად იცის, რამდენად ღარიბია ჩვენი ნათარგმნი ლიტერატურა. უცხო მწერლების საუკეთესო ნაწარმოებნი ქართულად თითით ჩამოითვლება. რასაკვირველია, ამისი მიზეზი მარტო ჩვენი დაუდევრობა არ არის. დღეს ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, მძლავრად მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ რადგან შეგვიძლიან მსოფლიო გენიოსთა ნაწარმოებნი გავიცნოთ რუსულ ან სხვა ენაზე, ამიტომ საჭირო არ არის ქართულად მათი თარგმანი. კიდევ კარგი, რომ ასეთ აზრს ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულ ელემენტში ნაკლები მომხრე ჰყავს, არც ჩვენი ინტელიგენცია აკეთებს რასმეს. ჩვენი ლიტერატურისა და ენის განვითარების მოსურნე თითქოს ბევრია, მაგრამ საქმით არაფერი კეთდება და სურვილი სურვილადვე რჩება. იშვიათად შეხვდებით ჩვენ ინტილიგენციაში ისეთს, რომელსაც გაბმით ქართულად სჯაბაასი შეეძლოს: იწყებს ქართულად და ათავებს რუსულად, ან, პირიქით, ან კიდევ დომხალივით ურევს ორივე ენას ერთმანეთში. ვინ იცის რამდენი თქმულა და დაწერილა ამის შესახებ. ჩვენში აუარებელია გადაგვარებული, ენის სრულიად არ მცოდნე. არიან ისეთებიც, რომელთაც სასირცხვილოთ მიაჩნიათ ქართულად ლაპარაკი. მაგრამ ყველა ამას თავი დავანებოთ.

მე მინდა მხოლოდ შევეკითხო ზოგიერთ ჩვენ ახლად გამოჩეკილ მწერლებს: ნუ თუ უმჯობესი არ იქნება, უხეირო და უშინაარსო ლექსების წერას ხელი მიჰყონ საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნას? იქნებ საკადრის საქმედ არ მიაჩნიათ თარგმნა! ვინ იცის, ჩვენ ხომ ყველაფერი უკუღმა გვესმის!

ჩვენი ნუგეში ის არის მხოლოდ, რომ მოიპოვება ორიოდე სხვაგვარი მუშაკი, რომელნიც ჩუმად, სრულიად უანგაროდ, მხოლოდ სამშობლო მწერლობისა და ენის სიყვარულით გატაცებულნი, ეწევიან „სხვისაგან“ აბუჩად აგდებულ შრომას. ერთი ასეთი მუშაკია „კურანისა“ და „ფაუსტის“ მთარგმნელი ქართულად ბ-ნი მირიანაშვილი. მან ჩვენს ნათარგმნს მწერლობას შესძინა ფრიად ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც დღეს, იმის დაუღალავ შრომის წყალობით, ყველა ქართველს შეუძლიან შეიძინოს და უკვდავი ქმნილება საკუთარ ენაზე შეითვისოს. რასაკვირველია, „ფაუსტის“ ქართული თარგმანი არ არის უნაკლულო, მაგრამ ეს არც გასაკვირველია. მთარგმნელს არასოდეს არ შეუძლიან ნათარგმნს ის სული ჩაუდგას, რაც ორიგინალს ახლავს და ამიტომაც „ფაუსტი“ ორიგინალს, ევვი არ არის, დაშორებული იქნება. მაგრამ დედა-აზრი, იდეა კარგად არის გადმოცემული. „მძლევნას“, მარგარიტას სიმღერას და სხვას ვერავითარ წუნს ვერ დავდებთ, ისე მკაფიოდ გამოსჭვივის მათში გიოტეს გენიალური სული და გონება.

ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ენის სიწმინდე, სიფაქიზე და ლექსიკონის სიმდიდრე. ენისა და იმის კანონების ცოდნა ახასიათებს თარგმანის გარეგნულ ფორმას.

ქართული ენის ცუდად მცოდნეთათვის თარგმანი შეიძლება ცოტა ძნელი გამოდგეს, მაგრამ ვისაც იმდენი ცოდნა მაინცა აქვს, რომ შეუძლიან ერთი რომელიმე აზრის გამოსათქმელად სხვა და სხვა სიტყვა იხმაროს, რაც ლექსიკონის სიმდიდრის მომასწავებელია, უსათუოდ

ჩიხვდება, რა დიდი შრომაა ქართულად „ფაუსტის" გადმოთარგმნა. ბ-ნი მირიანიშვილი მრავალ ძველ, მწერლობაში თითქმის დავიწყებულ, მაგრამ კარგ სიტყვასა ხმარობს. ასეთია, მაგალითად: სათაელი, სხივნარი, ძმაცურა, წახნაგება, ჰეელი, ხანძარი, ჯომარდი, ჯუფთი და მრავალი სხვა.

მადლობის ღირსია ბ-ნი მირიანაშვილი ასეთ დიდ და ამასთან უანგარო შრომისათვის. უანგაროს ვამბობ იმიტომ, რომ არავითარი ჰონორარი მას ამ თარგმანში არ აუღია და არც მოელის. „შრომის" სტამბის ამხანაგობამ აღმოუჩინა დახმარება და უსასყიდლოდ დასტამბა თარგმანი მხოლოდ იმ პირობით, რომ ქაღალდი ეყიდნა თვით მთარგმნელს, რისთვისაც მას ორასი ეგზემპლიარი მიეცა. ჩვენში რომ ისეთი დაწესებულება ან წრე არსებობდეს, რომელსაც აზრად ჰქონდეს ასეთი თარგმანების გამოცემა, მაშინ მთარგმნელიც წახალისდებოდა და უფრო გულმოდგინედ მოჰკიდებდა საქმეს ხელს, და ჩვენს ლიტერატურასაც ბევრი რამ ახალი შეემატებოდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენთვის ძვირფას წიგნის შეძენას ყველა ჩვენგანი მოისურვებს და ამ რიგად მაინც გამოვეხმაურებით, პატივცემულ მთარგმნელს.

შოთა—დიანი.

მოწერილი ამბები

გარეთ-კახეთი. როგორც ვიცით, განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს გლეხებმა საქართველოში დაჰგმეს უზომო ხარჯების გაწევა დღესასწაულებში. გარედ-კახეთში კი გლეხები კვლავ დაუბრუნდნენ ძველ წესს. იმართება უზომო ქეიფი და დროს ტარება. რა თქმა უნდა, გაჭირვებასა და ტანჯვაში მყოფისთვის ხანდისხან დროს გატარება საჭიროც არის, მაგრამ ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს. ხანდახან ქეიფი ორისამ დღეს გასტანს ხოლმე და ლანძღვითა და ჩხუბით თავდება. ასეთი დღეობა ანუ დღესასწაული უჯდება გლეხს არა-ნაკლებ თხუთმეტ-ოცი მანეთისა, რაც დიდ ფულს შეადგენს ჩვენებურ გაღატაკებულ გლეხკაცისთვის. რასაკვირველია, უფრო სასარგებლო იქნება ამოდენა ფული მოხმარდეს ხალხის გონებრივსა და ჯანმრთელობის საქმეს.

გარედ-კახეთის ბუნება მდიდარია, მაგრამ აქაურებს აკლიათ ცოდნა, სწავლა-განათლება. ხოლო როდესაც სწავლა-განათლება არ არის, იქ ათასგვარ ცრუმორწმუნოებას ფესვები მაგრა აქვს გადგმული. მკითხაობას აქეთ კარგი გასავალი აქვს. განსაკუთრებით მკითხაობენ ქალები. ბუზივით ეხვევა ამათ ხალხი. მიაქვთ ფული, სანოვაგე. ზოგს ისე სწამს მკითხავი, რომ ავადმყოფი რომ სახლში ჰყავდეს და ექიმი მისი მეზობელი იყოს, მაინც მკითხავთან გარბის.

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა გაზეთებში, რომ ის მედილიჟნეები, რომელნიც დაატარებენ მგზავრებს ტფილისიდან საგარეჯომდის და საგარეჯოდან ტფილისამდის, დიდს თვითნებობას იჩენენო. საგარეჯოდან ტფილისამდის (ორმოციოდე ვერსია) ეს ვაჟბატონები მგზავრს ახდევინებენ მანეთნახევარს. თუ ფუთზე უფრო მძიმე ბარგი აქვს მგზავს, ორი გირვანქაც რომ იყოს, მაინც ათ შაურს გამოართმევენ. ფულის გადახდას ვინ დაეძებს, თუ მშვიდობით ჩაბრძანდით ტფილისში. დილიჟნები ძველია. იქით-აქეთ ძალზე; ძველი ფარდები აქვს ჩამოფარებული. ასეთი ფარდები წვიმასა და სეტყვას ვერ იკავებს და პირდაპირ დილიჟანში ჰქრის ხოლმე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარი. ზოგ დილიჟანში სახურავიდანაც ჩამოდის წვიმის წყალი, ასე რომ ცუდ ამინდში იქ ჯდომა ყოვლად შეუძლებელი ხდება. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ მდინარეში დილიჟანის თვალი ან ღერძი მოსძრობია ან კატეხილა და დილიჟანი ნახევრად წყალს დაუფარავს. მგზავრებისთვის მიმინდვია იმისი გამოცნობა, რა შიში უნდა გამოსცადონ ამ დროს მგზავრებმა. 1907 წელს გარეჯელებმა არჩეული პირების პირით გამართეს მოლაპარაკება მედილიჟნეებთან. უნდოდათ ფასი დაეკლოთ და მანეთი გაეხადათ. მაშინ მედილიჟნეები დასთანხმდნენ, მაგრამ დღეს წინანდებურად განაგრძობენ მგზავრების ყვლეფას.

კახეთის რკინის გზის ამბავი ძალიან ახარებთ აქაურებს. ამ გზას გარედ-კახეთისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება. ტფილისამდე მატარებელი ერთ საათში ჩავა და მცხოვრებთ შეძლება მიეცემათ ყოველგვარი სანოვაგე ჩაიტანონ და გაჰყიდონ. მარტყოფში აღმოუჩენიათ ნავთის მადანი. რკინის გზის გაყვანის შემდეგ ეს საქმე გაცხოველდება და ჩვენი კუთხე ფეხზე დადგება.

სამ სოფლის გლეხებთ: გარეჯელებს, გიორგიწმინდელებს და ნინოწმინდელებს ჰქონდათ საერთო საყანე და საძოვარი ადგილები. 1900 წელს მათ მოისურვეს ამ ადგილების დაყოფა არა კომლეურად, არამედ სოფლეურად. ამ აზრით მოიწვიეს მიწის-მზომელი, რომელიც აგრეთვე მედიატორედაც აირჩიეს. მას უნდა დაეყოფინა ადგილები და თანასწორად განეწილებინა ზემოხსენებულ სამ სოფელს შორის. სამივე სოფელმა დაადგინა განაჩენი, რომელშიაც ნათქვამი იყო: რომელ სოფლის მხარეზედაც აღმოჩნდება უვარგისი ადგილები, ეს ადგილები იმ სოფელს მიეზომოსო. საქმე სხვანაირად მოხდა. ის საერთო საძოვარი ადგილები, რომელიც გიორგიწმინდიდან საგარეჯოს მხარეზე იყო, უვარგისად აღიარეს და გარეჯელებმა მიითვისეს, თუმცა ეს ადგილები უვარგისი არ არის. გიორგიწმინდელმა გლეხებმა მოითხოვეს, ვითომდა უვარგისი ადგილები მათაც მისცემოდათ, მაგრამ არ გაიჩინა გიორგიწმინდელების თხოვნამ. შემდეგ გიორგიწმინდელი გლეხები ამ ადგილებში ძალით შევიდნენ. ეს არ მოეწონათ გარეჯელებს და თავიანთ მოძმეების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ასე გაშინჯეთ, ერთი გლეხიც კი მოჰკლეს გიორგიწმინდელი ამ ნიადაგზე. ამ ვითომდა უვარგისს ადგილებს გარეჯელნი იჯარით აძლევენ როგორც სხვა სოფლის მცხოვრებლებზე, ისე გიორგიწმინდელ გლეხებზე. გიორგიწმინდელი გლეხები კი ადგილის სიმცირისა გამო იძულებული ხდებიან იჯარით აიღონ აგრეთვე თავად ჩერქეზიშვილების საყანე და საძოვარი ადგილები. რომ გულდრა გაეწყვიტა გიორგიწმინდელმა გლეხებმა, დროებით გაანებეს თავი ამ ადგილებზე დავას, მაგრამ 1908 წელს ისევ აღძრეს საჩივარი უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ადგილები დაუბრუნებოდათ. საქმე ჯერ არ განუხილავთ. ვნახოთ, როგორ გადასწყდება დავა. მე კი ჩემის მხრით ურჩევ ორივე სოფლის გლეხებს, მორიგდნენ, ძმურად და თანხმობით გაათაონ საქმე, თორემ იმაზე მეტი ზარალი მოუვათ, რაც თითონ მამული ღირს.

ლორეშელი კაცი.

ოსმალეთი

საუბარი მახმუდ-შევკეთ-ფაშასთან.

სტამბოლში ამ ჟამად სალაპარაკო საგანს შეადგენს — არამუსულმანთა მიღება ოსმალეთის ჯარში. ამ საგანს სტამბოლის პრესსა ყველა მხრივ არჩევს, ხოლო ბერძნული გაზეთები ბეჯითად თხოულობენ, რომ არამუსულმანთაგან ცალკე ბატალიონები შეადგინონ.

„რუსკ. სლოვო"-ს კორესპონდენტს ამ საგნის თაობაზე ესაუბრნია გენერალისიმუს მახმუდ-შევკეთ-ფაშასთან. კორესპონდენტი სწერს: სამხედრო სამინისტროში ვიყავ სწორედ იმ დროს, როცა იქ მოვიდა გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა; მეც ვისარგებლე ამ შემთხვევით, რომ მისი აზრი გამეგო ამ საგანზე.

გენერალმა ჩვეულებრივის ზრდილობიანობით მიმიღო სამხედრო სამინისტროს მდიდრულ დარბაზში.

— ოსმალურად ლაპარაკობთო? მკითხა გენერალმა.—დიახ, მეთქი, ვუპასუხე.—ძალიან კარგიაო! შენიშნა გენერალმა და თან შემეკითხა: რით შემიძლიან გემსახუროთო? მე არა მუსულმანთა სამხედრო სამსახურში მიღებაზე შევეკითხე.

— თქვენ, ალბად, იცით, რომ მაგის თაობაზე კანონპროექტი მთავრობამ უკვე შეიმუშავა და პარლამენტს წარუდგინა. რა წამს ეს კანონი დამტკიცებული იქნება, მაშინვე შეუდგებიან ქრისტიანების ჯარში გაყვანას.

— ურიებს?

— ურიებს არავითარი განსაკუთრებული უფლება არ მიეცემათ ამ საქმეში. მართალია ზოგიერთ პროვინციაში ურიებმა ითხოვეს: სამხედრო სამსახურიდან გაგვანთავისუფლეთ და სამაგიეროდ ეხლანდელზე მეტს სამხედრო გადასახადს გადავიხდითო, მაგრამ მთავრობამ უარჰყო ეს შუამდგომლობა. კონსტიტუციონურ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ეროვნებათა სრული თანასწორობა. ამიერიდან ოსმალეთში არიან მხოლოდ ოტომანები და მათ შორის არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს.

— მართალია, რომ სხვა პატრიარქებმაც, ბერძნის პატრიარქებივით, პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს, რომ ქრისტიანმა ჯარისკაცებმა მუსულმანებთან ერთად არ იმსახურონო?

— მაგ კითხვაზე ვერ მოგცემთ სწორე პასუხს. ვფიქრობ, რომ სხვა პატრიარქებსაც მიებაძოთ ბერძნის პატრიარქისთვის; ყოველ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ ისინი ყველანი დაემორჩილებიან ახალ კანონს, რომლის შეცვლა შეუძლებელია.

— თქვენ უკვე გაუგზავნეთ ყველა პატრიარქებს ბძანება თავისუფალ მეომართა მოკრების შესახებ. ამ მეომრებს მართლა მარტო ჟანდარმების კორპუსის შესავსებად ჰკრებენ?

— თავისუფალ მეომართა შეკრება დაიწყება ეხლავე; პარლამენტის მიერ კანონის დამტკიცებამდე: ამ მეომრებს გავანაწილებთ სტამბოლის ჯარის ოლქებში.

— მართალია, ვითომ ილდიზის გაძარცვის დროს იპოვეს ქაღალდები, რომლებიც სახელს უტეხდნენ დიდ ვეზირად ნამყოფს ქიამილ-ფაშას?

გენერალი გაიღიმა და ცოტა ფიქრის შემდეგ სთქვა.

— მაგაზე გაზეთები სწერდნენ.

— გაზეთები სწერდნენ, რომ ქიამილ-ფაშას მონაწილეობა მიუღია კონტრ-რევოლიუციაშიო.

— მაგაზე სწორედ ვერას გეტყვით.

— რას უპირობთ ტახტიდან ჩამოგდებულ სულთანს?

— აბდულ-ჰამიდი ჯერ სალონიკში დარჩება. იქნება მომავალში შეუცვალოთ ბინა. მაგრამ ის-კი რაც ეწერა უცხოეთის გაზეთებში, ვითომ აბდულ-ჰამიდი არხიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე უნდა გადაიყვანონო, სულ მოგონილია.

— როდის მივა გენერალი ფონ-დერ-ჰოლცი და რა თანამდებობა მიეცემა მას ჯარში?

— ფონ-დერ-ჰოლცს ამ მოკლე ხანში მოველით სტამბოლში. იგი უკვე დაინიშნა მუდმივ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად.

— რა უნდა გააკეთოს ამ საბჭომ?

— მუდმივი სამხედრო საბჭო შეუდგება ჯარის რეორგანიზაციას და დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ ეს ორგანიზაცია სრული და სამაგალითო იქნება, ჩვენს ჯარს უთუოდ გავუთანასწორებთ ევროპის ჯარებს. გენერალი ფონ დერ-ჰოლცი, რომლის სამხედრო გამოცდილება და ცოდნა ყოველ ეჭვს აღემატება, სამხედრო მინისტრის მაგიერობასაც გასწევს საბჭოში იმ შემთხვევებში, როდესაც მინისტრს არ ეცლება თავმჯდომარეობისთვის.

კრიტოსის საქმე.

ოსმალეთის ელჩებმა მოლაპარაკება გამართეს ევროპის სახელმწიფოებთან, რომ ოსმალეთს შერჩეს უზენაესი ხელმწიფება კრიტოსზე.

სტამბოლის დეპუტატმა გოჯას ასიმმა ექვს სხვა დეპუტატთან ერთად შემდეგი შეკითხვა შეიტანა პარლამენტში:

„ოსმალეთისა და ევროპის პრესა ამ ჟამად დიდ ყურადღებას აქცევს კრიტოსის საქმეს. საჭიროა შევატყობინოთ მთელ ქვეყნიერობას, რომ ოსმალეთი მზადაა ყოველნაირი მსხვერპლი შესწიროს, რათა ამ საქმის გადაწყვეტის დროს ოსმალეთის იმპერიის ღირსება არ შეილახოს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ აგვიხსნას საქმის მდგომარეობა".

ოსმალეთის მთავრობამ კარგად მოამზადა ჯარი და ფლოტი. თუ ევროპის ჯარი გავა კრიტოსიდან, ოსმალეთის ჯარი ხელად ჩადგება კრიტოსზე. ოსმალეთის მთავარმა შტაბმა ყოველ შემთხვევისთვის დაწვრილებით შეიმუშავა ომის პლანი. საბერძნეთის საზღვარზე ოსმალოს ჯარის მოგროვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიპლომატთა წრეებზე.

სპარსეთის ამბები

შაჰმა ფული მოსთხოვა ელჩებს.

შაჰმა ახალი, მეტად საყურადღებო ნოტა გაუგზავნა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს.

ნოტაში ნათქვამია, რომ შაჰს თავის დაპირებულის შესრულება, სახელდობ: კონსტიტუციის აღდგენა და მეჯლისის მოწვევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან, თუ ფულს ასესხებენ, რადგან უფულოდ ამ საქმეების შესრულება ყოვლად შეუძლებელიაო.

ამბობენ, რომ ამ ნოტის შემდეგ ელჩები შეუდგნენ მასალის თადარიგსაო.

უწესობება პროვინციაში.

ბუშირში შეტაკებები მოდის რევოლიუციონერებსა და რეაქციონერებს შორის. ხორასანში საყოველთაო აჯანყებაა.

კასირისა და კონტროლიორის გაცარცვა

„რეჩი"-ს ატყობინებენ ისტრაბადან: სოფელ არპა-ტეპესთან ახლო ცნობილმა ყაჩაღმა აბას-კულიმ ხანმა გაძარცვა ასტრა-არდებილის გზის კასირი და კონტროლიორი. ყაჩაღებმა წაართვეს მათ ცხენები, ფული და დოკუმენტები. დაშით გაცარცულებმა მოახერხეს გაქცევა სოფელ აღალქანდში რევოლიუციონერების ბანაკში, ხოლო რევოლიუციონერებმა სადღაც ბასარიტანამდე მიაცილეს ისინი.

ასტრა-არდებილის გზა რუსების ხარჯითაა გაყვანილი.

არეულობა მეშედში.

როგორც ვიცით, ქალ. მეშედში დიდი არეულობა სუფევს. „ნოვ. მოსკვა"-ს კორესპონდენტი მეშედიდან სწერს ამ არეულობის თაობაზე:

მეშედში დიდი არეულობა მოხდა. ვიცე-გუბერნატორი მოჰკლეს, ენჯუმენის შენობაში მოჰკლეს ჩიღლდიმესტერი. ქალაქში სრული ანარქია სუფევს. ევროპიელების მდგომარეობა განსაცდელშია, რადგან აქაური ხალხი დიდი ფანატიკოსია. არეულობის დროს რუსეთის საკონსულოსაც დაუშინეს თოფი. ამჟამად ეს არეულობა მეტად დიდ ზარალს აძლევს რუსეთის ვაჭრობას ხორასანში.

ამიტომ, თუ ამ არეულობამ დიდ ხანს გასტანა და სერიოზული ხასიათი მიიღო, რუსეთი ალბად ჯარს გაგზავნის მეშედში, რომელიც სულ 4 დღის სავალზე მდებარეობს რუსეთის საზღვრიდან. მეშედი დიდი სავაჭრო ქალაქია რამდენიმე ათი ათას მცხოვრებით. აქ მდგომი შაჰის ჯარი ძლიერ სუსტია და გაუწრთვნელი, ამიტომ მას სრულებით არ შეუძლიან რევოლიუციონერებთან ბრძოლა.

მეშედის უდიდესი სიწმიდე—იმამ-რიზას მეჩითია, პირველი ბესტის ადგილი მთელს სპარსეთში. ვინც იქ ბესტში ჩაჯდება, მას მეჩითი აძლევს უფასოდ საჭმელ-სასმელსა და ტანისამოსს; მას ხელს ვერავინ ახლებს, თვით ყოვლად ძლიერი შაჰიც ხმას ვეღარ გასცემს. ყველა არამუსულმანმა, რაკი ამ მეჩითში შევა, უნდა უთუოდ მიიღოს მუსულმანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოჰკლავენ ფანატიკოსები. იმამ-რიზას მეჩეთს უჭირავს ნახევარი ქალაქი; თითონ ქალაქიც მეჩეთის ადგილზეა აშენებული.

მეშედში ცხოვრობს რუსის კონსული; აქვე დაარსებულია რუსეთ-სპარსეთის ბანკის განყოფილება.

რუსეთის საკონსულოს, მგონია, შემთხვევით დაუშინეს თოფი. თუ აქაური არეულობა გამწვავდება და რუსეთი იძულებული იქნება მეშედში ჯარი გაგზავნოს, უნდა გვახსოვდეს, რომ მეშედი თავრიზი როდია: აქაური ხალხი დიდი ფანატიკოსია და მეტად გამაგებულია იმით, რომ რუსის ჯარმა დაიჭირა თავრიზი, საიდანაც აქაურ ენჯუმენს დირექტივები მოსდიოდა ხოლმე. ამას გარდა გზა ასხაბადიდან კაჩანამდე 100 ვერსის მანძილზე მთიანი და ძნელ-სავალია. ეს ადგილები მეტად საშიშია. რევოლიუციონერების პატარა რაზმი ერთი-ხუთად მეტს მტერს შეუკრავს გზასა. აქაურ ხალხს საკმაოდ კარგი იარაღი აქვს და კარგადაც ხმარობს მას.

რეაქციონერების იმედი.

„რეჩ"-ს ატყობინებენ თეირანიდან: „შაჰის მომხრე პარტიამ ცოტა არ იყოს, ღონე მოიკრიბა; რეაქციონერებს გამარჯვების იმედი მოეცათ.

ბუშირში დაატუსაღეს რევოლიუციონერების მეთაური შერტეზა".

რუსეთი

◆ **მემარჯვენეები და მიტროპოლიტი ვლადიმერი.** მოსკოვის მიტროპოლიტ ვლადიმერს მიუღია სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციის დეპუტატები ზამისლოვსკი, საზონოვიჩი, შეჩკოვი და მარკოვ მეორე. მიტროპოლიტს მართმადიდებელ სარწმუნოების დაცვისათვის მადლობა გადაუხდია და წმ. სერგეის ხატით დაულოცია. მიტროპოლიტს დასასრულ იმედი გამოუთქვამს, რომ „მემარჯვენეების დიდად პატივცემული მუშაობა არ შეჩერდება და სხვა მიმდინარეობას არ მიიღებს".

◆ **სტოლიპინთან.** გუჩკოვს, ბალაშოვს და შუბინსკის უნახულიათ პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი. დეპუტატებს სტოლიპინთან ულაპარაკნიათ სახელმწიფო სათათბიროს მომავალ მუშაობაზე. სტოლიპინის სიტყვით სამინისტრო სათათბიროში შემოდგომაზე შეიტანს საგუბერნიო და სამაზრო მართველობის და ერობის არჩევნების შესახებ კანონ-პროექტს,

◆ **დეპუტატი კარაულოვი.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: დეპუტატ კარაულოვს, რომელმაც სათათბიროს „სტაროობრიადცების" სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტი მოახსენა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისგან" წერილები მოსდის, კარაულოვს ლანძღავენ, ემუქრებიან და აგინებენ".

◆ **მასწავლებლის დათხოვნა.** „რეჩ-ში" ვკითხულობთ: ოდესის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელმა იაკიმოვმა მოსწავლე ქალებს თხზულების დასაწერად შემდეგი თემა მისცა: „აზაროვი... და სანინი. შედარება", საპასუხოდ ოლქის მზრუნველს იაკიმოვი მასწავლებლობიდან დაუთხოვნია.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში 2, მოსკოვში 1, პეტერბურგში 2, ხარკოვში 3, უფაში 1, ვარშავაში 2, იურიევში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 2, ხარკოვში 1, ოდესაში 3, რიგაში იურიევში 1, უფაში 3, სევასტოპოლში 1 კაცი.

◆ **ხმოსანი კადეტი.** პეტერბურგის ქალაქის საქმეთა მართველობას ხმოსან კადეტ [illegible] არ მიუღია [illegible] თველობის სხდომებს დაესწროს ნოლ [illegible] კიურინი პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი იყო, მან ვიბორგის წოდებას მოაწერა ხელი.

◆ **შეკითხვა.** სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე ფრაქციებს გადაუწყვეტიათ სათათბიროში გენერალ სნარსკის მოქმედების შესახებ შეკითხვა შეიტანონ. შეკითხვას მომავალ სესიაში გაარჩევენ.

◆ **„სტაროობრიადცები".** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „პეტერბურგში ცნობა მოვიდა, რომ „სტაროობრიადცები" „ჭეშმარიტ რუსთა კავშირიდან" გადიან. მიზეზი ის არის, რომ „კავშირი" „სტაროობრიადცების" სარწმუნოების თავისუფლების წინააღმდეგ წავიდა.

◆ **შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.** ამ რამდენიმე ხნის წინედ ორენბურგის გუბერნიის მაჰმადიანებმა შუამდგომლობა აღძრეს, ნება მოგვეცით, რომ ორენბურგში მაჰმადიანთა მასწავლებლებისთვის კურსები გავხსნათო. კურსებზე სწავლება თათრულ ენაზე უნდა ყოფილიყო. „რეჩის" სიტყვით მთავრობას არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

◆ **თავის მოკვლა.** კურსკიდან „რეჩს" დეპეშით ატყობინებენ: „მიწის მზომელთა კურსების შეგირდმა გამოცდის დროს რევოლვერით თავი მოიკლა. მოწაფემ ბილეთის ამოღების შემდეგ უეცრივ იძრო რევოლვერი და თავში დაირტყა".

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე
უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაზანა[illegible]ოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
შულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველიხიანცი: 11—12 ნახ. ს. [illegible]ნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამდე საბებიო და ქალებისა.
საღამოთი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ტარიფებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—99)

◄ძალიან იაფად►
იყიდება საბურთალოზე, ახალ ეკლესიის გვერდით მიწა გაშენებული ბაღჩით და ხეხილით. შემოვლებული ეკლით 111 ოთხკუთხი საჟენი იყიდება 450 მანეთად. მალე ხიდიც გაკეთდება დიდუბიდან.
იკითხეთ იქვე ეკლესიის გვერდით ი. მუსხელიშვილი. 5—286—3)

Высшая награда
Визуальная

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"
ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—41)

სტამბა „ხინათლი", დიდი ჟანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე